ქიას“ დადგმა განახორციელა მოსკოვის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა. აქედან დაიწყო მისი წარმატებითი სვლა საბჭოთა კავშირის თეატრებს სცენებზე, მათ შორის სარატოვში, ომსკში, ვოლგოგრადში, ტაშკენტში, მაგდანში, პენსასა და სხვა ქალაქებში.

1940 წელს მოსკოვში ჩატარდა მოზარდ მაყურებელთა თეატრების საკავშირო დღეობები, ამ დროს მამბტანის ფორუმზე, თბილისის გარდა, „ნაცარბუქის“ მიხედვით შეშხილი სპექტაკლი წარმოადგინეს მოსკოვის, გროზნოსა და კალინინის საბავშვო თეატრებმა. ხოლო 1970 წელს ე. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მოძებრეს დასაბჭოების დრამატურების საკავშირო დღეობებზე მოსკოვში ნ. გოგოლის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლმა „ნაცარბუქის“ მეორე პრემია მოიპოვა.

საინტერესოა, რომ ამ პიესისადმი ინტერესი დღემდე არ შენეებულა.

სვერდლოვსკის ლენინური კომკავშირის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი გ. ნახურციშვილს ატყობინებდა: „გამსახრებ სპექტაკლს გულად გიცივლავ (ჩვენი თეატრში მისი პირველი წარმოდგენიდან 35 წლისისაზე)“... ასეთ სასიხარულო ცნობებს არცთუ იშვიათად იღებს ქართველი დრამატურგი, რომლის პირად არქივშიც დაცულია ათობით რეცენზია და ინფორმაცია „ნაცარბუქის“ დადგმების შესახებ სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქში.

მეორე პიესა, რომელიც გ. ნახურციშვილმა ბ. გამრეკელთან ერთად შექმნა და გასცდა საქართველოს ფარგლებს არის „ლადო კეცხოველი“. იგი დაიდგა მოსკოვის ცენტრალურ საბავშვო თეატრში, ბაქოში, ხარკოვში, ტაშკენტში... მას მოყვა „სიჭაბუკე ბელადისა“, რომელიც მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის თეატრმა 1951 წელს წარმოადგინა.

დღეი წარმატება ხვდა წილად გ. ნახურციშვილის „ჭინჭრაქსა“. იგი ბერლინის მეგობრობის თეატრშიც კი დაიდგა. აღსანიშნავია, რომ მის სცენურ სორცესხმას 1965 წლიდან დღემდე ხელი მოჰკიდა საბჭოთა კავშირის ორმოდგენიანმა თეატრმა. გაზეთი „მოსკოვსკაი კომსომოლცი“ ცენტრალურ საბავშვო თეატრში გახორციელებულ „ჭინჭრაქსა“ შესახებ წერდა: „გაივლის დრო, მაგრამ ხორჩები არასოდეს დაივიწყებენ ამ მხიარულ ქართულ ზღაპართან შეხვედრას. სწორედ მან გაუხსნა თეატრის ჯადოსნური კარები მრავალ პატარა მაყურებელს“.

უკრაინულ ენაზე „ჭინჭრაქსა“ მთარგმნელს ოლექსა სინჩენკოს მიერ გ. ნახურციშვილისადმი მიწერილ წერილში კი ვიკითხებოდნ:

„Дорогой батоно Георги! Вчера я вместе с двумя тысячами школьников смотрел на сцене Октябрьского дворца последнее, шестое представление Вашего «Чинчраки» в исполнении гастроллирующего в Киеве Львовского ТЮЗ-а, одного из лучших в республике. Спектакль поставленный, по-моему очень интересно, талантливо, был хорошо принят... Мне известно, что эту пьесу ставит еще один украинский театр. От всей души (с любовью и гული) поздравляю Вас с триумфом Вашего юного героя на украинской земле“.

გ. ნახურციშვილის კიდევ ერთი პიესა გაკავა მისი წინამორბედების სასახელო გზას. ესაა ზღაპარი-კომედია „შაიანს ხიზი“. გროზნოსა თუ ხალჩოვში, მაიკოპსა თუ ჩერკასკში, ბაქოსა თუ დონეცკში მას ყველგან აღტაცებით უკ-

რვენ ტანს. მაყურებელს ხიზლავს სიმართლისა და მამბტანის ხიზების გარდაუვალი გამარჯვების იდეა, რომელიც მათელ ზოლად გასდევს ამ ხაწარმოებს.

* * *

მარიკა ბარათაშვილის პოეტურმა ხმამ დიდი ხანია მიიზიდა ქართველი მკითხველი. მაგრამ პოეტს უკმარებდა დიდი ალიანება მოუტანა პიესამ „მარიხე“ („ჭინჭრაქი“).

ორი ათეული წლის წინააზ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაიდგა მ. ბარათაშვილის „მარიხე“. იგი განსხორციელდა საქართველოს სხვა თეატრებშიც და შემდეგ შემოიარა ჩვენი ქვეყნის 170 და უცხოეთის მრავალი თეატრი.

შეიძლება თქვას, რომ „მარიხე“, მარჯანიშვილის თეატრის შემდეგ, ყველაზე დიდ წარმატებას წილობდა მოსკოვის საბჭოთა არმიის ცენტრალური თეატრის სცენაზე. იგი დადებითად შეფასდა საკავშირო პრესამაც, ყველა რეცენზენტს მალა შეფასებას აძლევდა როგორც პიესას, ისე მის დადგმას და აქტიურულ შესრულებას. განსაკუთრებულ ქებას იმსახურებდა მარიხეს როლის შესრულებელიც ოსტროვსკაია.

ცნობილია საბჭოთა დრამატურგი ნ. პოგოდინი აღნიშნავდა: „ამ კარგი წარმოდგენის ყველა ღირსეულობა მინდა გამოვყო მისი ჭკვიანური, ოპტიმისტური შესხედლებაცხოვრებაზე, ჩვენი საბჭოთა სინამდვილის უზალო გადაწყვეტის შესანიშნავი უნარი... უდავოდ სწორად მოიქცა საბჭოთა არმიის თეატრი, როცა თავისი რეპერტუარი ქართული დრამატული ნაწარმოებით გაამდიდრა“.

მ. ბარათაშვილის არქივში ინახება არა ერთი რეცენზია, რომლებშიც აღფრთოვანებით წერენ სპექტაკლზე, ხოლო ბევრს საუკეთესო საბჭოთა კომედების გვერდით აყენებენ.

ხარკოვის ტ. შვერენკოს სახელობის დრამატულ თეატრში წარმოდგენილ „მარიხეზე“ საინტერესო წერილია გამოქვეყნებული „უკრაინსკია პრავდაში“. რეცენზენტი გ. გრიმილი წერს: „რეჟისორ ე. კინშიდა დამსახურება სწორედ ის არის, რომ მან შეძლო მართლად და დრამატულად გაეხსნა პიესის მთავარი აზრი, ეჩვენებინა მისი აღმზრდლობითი თვისებები... უხსტად გადმოვცა მ. ბარათაშვილის პიესის ერთეული კოლორიტი.“ ავტორი ამავე დროს აღნიშნავს მასიბობების კარგ თამაშს, რომლებმაც სწორად გახსნეს ქართული სასიათები, რის შეხებითაც წარმოდგენას კიდევ მეტი სისახისე და კომედოურობა შეემატა. იგი განსაკუთრებით აქვს ჭრტიანის როლის შემსრულებელს ჰ. კუმანჩენკოს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ როლის შესრულებლის შემდეგ ჰ. კუმანჩენკოს უკრაინის სსრ დასახურებელი არტისტის წოდება მიენიჭა.

ამრიგად, მ. ბარათაშვილის „მარიხე“ არა ერთი საბჭოთა თეატრის შემოქმედებით წარმატებების მონაწილე გახდა.

* * *

„ხალხი იცინის, როცა მას რაიმე ახარებს და მაშინაც, როცა დაღონებულია, და შველია, რომელიც მხიარულად წერს, იგი ხალხის მუდმივი მეგობარია. კიტა ბუაჩიმე მხოლოდ კომედიებს წერს. მისი პიესები მხიარულობასა და სერიოზულობას, როგორც თვით ცხოვრება, და ამდენად მართალიც“. ასე იწყება თეატრალური კრიტიკოსის იური

3 გაზეთი „პრავდა“, 1953 წ., 12 აპრილი, „მხიარული და შინაინახისი წარმოდგენა“.

4 გაზეთი „უკრაინსკია პრავდა“, 1953 წ., 7 ივნისი.

2 „მოსკოვსკი კომსომოლცი“, 1972 წ., 18 თებერვალი.

გრანოვის მიერ დაწერილი წინასიტყვაობა „ჩვენი კეთილი მეგობარი“, რომელიც წამდგურებოდა აქვს ახლახან მსოფლიო გამოსულ კიტა ბუაჩიძის პიესების კრებულს „მხოლოდ კომედიები“, რომელიც თვით ავტორმა თარგმნა (გამომცემლობა „ისკუსტეტი“).

ამ ცნობილი დრამატურგ-კომედიოგრაფის პირველი პიესა „აურიფი რილონი“, რომელიც მოსწავლეთა ცხოვრების ასახვაზე, ჯერ კიდევ ამ ორმოციოდე წლის წინ დაიდგა მოზარდ მაყურებლებს ქართულ თეატრში. დრამატურგი მანში მხოლოდ 17 წლის იყო. მას შემდეგ ქართულ მაყურებელში მუდამ ცხოველ ინტერესს იწყვედა კ. ბუაჩიძის ხალისიანი კომედიები. მათ არც რუსულ სცენაზე დაუკარგავთ ერთგული კოლორიტი. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია მოსოფლიო განხორციელებული „მეცარი ქალიშვილები“, რომელიც თარგმნა ორასჯერ წარმოადგინა. იგი დაიდგა აგრეთვე ეთანხობიარსეში, ცელინოგრადსა და სიმფეროპოლში. ასევე წარმატება ხვდა წილად კ. ბუაჩიძის პიესას „ეუროპი ავი ძალია“, რომელიც დაიდგა არხანგელსკში, კირილინოვში, გროზნოში, კიოვიო-როში, სტკაპანკურტში და კიროვაკანში. მათ შესახებ არაერთი დღეებითი რეცენზია დაიბეჭდა ცენტრალურ თუ ადგილობრივ პრესაში.

* * *

ასყუფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა დრამატურგი ვალერიან კანდელაკი. მაყურებელთა განსაკუთრებული მიწონება დამისხურა მისმა პოპულარულმა პერიკლუსმა პიესამ „მაია წყნეთელი“, რომელიც საქართველოს თითქმის ყველა თეატრში დაიდგა.

1957 წელს აღინიშნული პიესა თავის მაყურებელს უჩვენა ენერჯის მუსიკალური კომპლდის თეატრმა. სპექტაკლის დამდგმელი ჯგუფი და მსახიობები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ წარმოდგენის მომზადებას, იყვნენ თბილისში, მისწავლეს ის ეპოქა, რომელსაც პიესა ასახავდა. ამის შემდეგ თეატრმა შექმნა ჭეშმარიტად ღრმამზინაძისიანი, მისხასრქაფული სპექტაკლი. წარმოდგენაში მარია წყნეთელის შესანიშნავი იერსახე შექმნა მამინ ერევნის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტმა ნ. შავერიძისმა.

აღსანიშნავია, რომ ამ სპექტაკლის ერთ-ერთ წარმოდგენაში მონაწილეობდა პოპულარული თბილისელი მათა წყნეთელი ვლენტი ყიფშიძე, რომელმაც მონოლოგები სომხურ ენაზე წაიკითხა.

ადგილობრივმა პრესამ („კომუნისტი“, „საბჭოთა ხელოვნება“) მაღალი შეფასება მისცა სპექტაკლს და მისი დღეების მნიშვნელობას ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის შემდეგობი აყვავების საქმეში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემადებულ რესპუბლიკურ კონკურსში პრემია მოიპოვა ვ. კანდელაკის პიესამ „დრო 24 საათი“. მიმდინარე საიუბილეო წელს ეს პიესა დადგა უზბეკეთის სსრ ნანაენანის ა. ნავოის სახელობის სახელმწიფო თეატრმა, რომლის დადგმა განახორციელა თეატრის დირექტორმა და მთავარმა რეჟისორმა კ. იულდაშევა. სპექტაკლისათვის შესკვა დაწერა კ. სიხარულიძემ. პრემიერას დიდადმა ხალხი დასწრო. დასასრულს მაყურებელმა ხანგრძლივი, მქუშარი ტანით დააჯილდულა სპექტაკლის ავტორები და მასში მონაწილე მსახიობები.

* * *

ამ ოციოდე წლის წინათ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე წარმატება მოიპოვა გენო ქელბაქიანის პიესამ „ახალგაზრდა მასწავლებელი“. ეს იყო თანამედროვე თემაზე შექმნილი

აღმზრდელით ხსიათის სპექტაკლი, რომელიც ასახავდა ახალგაზრდობის ცხოვრებას.

„ახალგაზრდა მასწავლებელი“ დასმულმა პრობლემამ დაინტერესა მოსოფლის ა. ს. პუშკინის სახელობის დრამატული თეატრი, რომელმაც გ. ქელბაქიანის პიესა სახელმწიფოებით იმ იცვლის ძს.საიარსთს“ 1955 წელს მორიგ პრემიერად უჩვენა მაყურებელს. სპექტაკლი დადგა საქართველოს სახალხო არტისტმა დ. ალექსიძემ, მხატვრულად დაფორმა სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა დ. თავაძემ, მუსიკა ეკუთვნოდა სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ს. ცინცაძეს. ცხვერი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ოდიკაძემ. სპექტაკლის შექმნაზე ინტერესით მუშაობდა თეატრის მთელი დასი, რაზეც მეტყველებს ის აღფრთოვანებული მისაღება, რომელიც მოსოფლმაც ორმოცი კაცის ხელმოწერით გამოუგზავნეს თავიანთ ქართველ კოლეგებს — „ახალგაზრდა მასწავლებლის“ პირველ დამდგმელს, რუსთაველის თეატრის მსახიობებს.

აი, რას ვკვიხვართ ამ მისაღებაში: „სპექტაკლის — „ის იცვლის მისამართს“ — პრემიურის დღეში მოსოფლის ა. ს. პუშკინის სახელობის დრამატული თეატრის კოლექტივი ცდილობს გულთადა სალამს მისხარული ვართ, რომ ქართველი დრამატურგის გ. ქელბაქიანის პიესამ, რომელიც წარმატებით იდგება თეკენს და საქართველოს მრავალ თეატრში, რუსულ სცენაზეც შეინარჩუნა თავისი სურველობა. მოსოფლმა მაყურებელმა იგი გულთბილად მიიღო. საქართველოს ხელოვნების ოსტატთა ბრიგადა, რომელმაც ამ პიესის დადგმა განახორციელა, დაეხმარა თეატრს უფრო ღრმად ცვრობი და გადმოეკა პიესის ერთგული კოლორიტი, საქართველოს ბუნების მშვენიერება და მომხიბვლობა, მელოდიათა სიმდიდრე და მრავალფეროვნება...

იქნებდებოდნენ, რომ ჩვენი მეგობრობა საქართველოს ხელოვნების მუშაკებთან კიდევ უფრო გაიზარდება, რომ იგი გააძლიერებს და გააფართოებს ჩვენი თეატრების შემოქმედებით შესაძლებლობებს“.

სასაიმოვნოა, რომ ეს სურვილი ახდა.

* * *

თანამედროვე ქართულ პროზაში სიბოთ და ლირიზმი მოიტანა ნიჭიერი მწერალმა, საკავშირო კომკავშირის პრემიის ლაურეატმა ნოდარ დუმბაძემ. მისმა ნაწარმოებებმა გამოეყენებინათანავე გამოიწიეს მკითხველთა ფართო მასების ცხოველი ინტერესი თავისი ჭეშმარი იდეებით, ხალისი იუმორით, ადამიანური სიმართლით და ხსიათების ოსტატური ჩვენებით.

„მე, ბებია, ოლიკო და ილარიონი“ თუ „მე ვხვდებ მუსხ“, „მზინა ღამე“ თუ „ნუ გვეზინა, დედა“ ის ნაწარმოებებია, რომლებიც საერთო ადამიანური პრობლემებით შორს სცდებიან ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებს. ამიტომ დაიბადა, რომ მათ ადვილად გაიკვლიეს გზა სცენისა და კვარანსაკენ.

ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის პიესები „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხვდებ მუსხ“ საქართველოს თითქმის ყველა სახელმწიფო თეატრში დაიბადა, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის მრავალი თეატრის რეპერტუარში დამკვიდრდა.

„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ამ ქვესიოდ წლის წინათ დადგა ლენინგრადის ა. მ. გიორკის სახელობის დიდ დრამატულ თეატრში და მაყურებელთა საერთო მოწონება დამსახურა. აღსანიშნავია, რომ ამავე სპექტაკლმა დიდი წარმატება მოიპოვა ლონდონში 1966 წელს, როცა „ოლდრინის“ თეატრში საერთაშორისო თეატრის სესონში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყო ლენინგრადის დრამატული თეატრი.

იმევე პიესამ არანაკლები წარმატება მოიპოვა ბელორუსიაში, მინსკის იანკა კუპალის სახელობის თეატრში. „პიესას წილად ხვდა არანახულა წარმატება. მასურებელთა დარბაზში ნამდვილი თეატრალური დღესასწაული სუფევს მთელი წარმოდგენის მსვლელობის მანძილზე“. — წერდნენ ადგილობრივი გაზეთების ადფრთოვანებული მიმომხილველები. ასევე წარმატებით გახსორციელდა იგი სტავროპოლის მ. ლერმონტოვის სახელობის თეატრის სცენაზე, აგრეთვე მრავალ სხვა ქალაქში. მაგრამ ყველაზე მეტი ბედნიერება და შემოქმედებითი სისარული განაცდევინა მან ნოვოსიბირსკისა და როსტოვის ნორჩ მასურებელთა თეატრებს, რომლებსაც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მოძმე რესპუბლიკების დრამატურებთან ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლების საკავშირო ფესტივალზე „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ წარმოდგენისათვის შესაბამისად პირველი და მეორე პრემია გადაეცათ. პრემიები მოიპოვეს აგრეთვე პიესის ავტორებმაც.

მოსკოველმა მასურებელმაც იხილა სცენაზე ნ. დუმბაძის ხალასი იუმორითა და სიკეთით სავსე გმირები. მ. გორკის სახელობის მოსკოვის სამხატვრო აკადემიურ თეატრში წარმოდგენილ სპექტაკლზე „მე ვსედავ მუსეს“ ახლაც გირს ბილეთების შოვნა. ეს პიესაც არა ერთ საბჭოთა თეატრში იდგა; სიხარულითა და ინტერესით შესვდნენ მას ლენინგრადში, სადაც კარგად იცნობდნენ დუმბაძისა და ლორთქიფანიძის პირველი პიესის ხალისიან გმირებს. ამჯერად დადგმა განახორციელა ვ. კომისარევესკაიას სახელობის დრამატულმა თეატრმა. სპექტაკლის სახელწოდება „ხეცა რომ სარკე იყოს“. აღსანიშნავია, რომ ვ. კომი-

სარევესკაიას სახელობის ლენინგრადის თეატრი „ერთ-ერთი პირველი არაქართული თეატრია, რომელმაც დიდი სიყვარულითა და გატაცებით მოჰკიდა ხელი ნ. დუმბაძის ასალი პიესის „ნუ გემინია, დედა“ დადგმას.

ეურნალისტ ნარგიზა მეგლადეს თავის ნარკვევების წიგნის — „დიდება თვითონ გიპოვის“ ერთ-ერთ თავში, რომელიც ნოდარ დუმბაძეს ეძღვნება, მოტანილი აქვს ლენინგრადის თეატრის სამხატვრო საბჭოს სხდომის ერთი ფრიად საყურადღებო სტენოგრამა, რომელიც გვაცნობს თუ როგორი აღფრთოვანება გამოიწვია ქართველი ავტორის პიესამ მოძმე რუს თეატრალებს შორის.

აი ზოგიერთი ამონაწერი ამ სტენოგრამიდან:
„კო რო ტ კ ვ ი ჩ ი — პიესამ მომხიბლა გულითაღობით, სიწმინდით. ვფიქრობ, ესაა ნამდვილი ნაწარმოები სამშობლოს ნამდვილ და არა გამოვონილ სიყვარულზე.

სო ს ბ ი კ ი — მშვენიერი პიესაა. დაუყუვნებელი უნდა დავდგათ. ხშირად როდი მოდის თეატრში ასეთი საუკეთესო პიესები.

ლუ ბ ა შ ე კ ს კ ი — „ნუ გემინია, დედა“ — ეს მოვლენაა და მოითხოვს სარეპერტუარო გეგმაში მკვეთრი ცვლილების შეტანას. დაუყუვნებელი უნდა ჩავუყვანო წარმოებაში.

კო რო ტ კ ე ვ ი ჩ ი — დარწმუნებული ვარ, ეს პიესა გამარჯვებას მოგვიტანს.

აკ უ ლ ი ჩ ე ვ ა — ხვალვე დავიწყობ რეპეტიციას.

დ მ ი ტ რ ი ე ვ ი — ამ პიესით დავრწმუნდი, რომ ასე ლაპარაკი შეუძლიათ ჭკვიან და გამბედავ ხალხს.

ფ ე დ ო რ ო ვ ი — კოლექტივის აზრს ანგარიში უნდა



სსრკ 50
წლისთავისადმი
მიძღვნილი
გამოფენიდან

გ. ნარმანიძე.
ზამთარი.

გაწიოს. პიესა აუცილებლად უნდა დაიდგას ახლო მომავალში.

რუმეს სერგის ძეს ვთხოვთ (რუმეს სერგის ძე აკამირიანი — პიესის რუსულ ენაზე მთარგმნელი, რეჟისორი, რომელიც „ნუ გეზინია, დედა“ დადაგ ლენინგრადის ვ. კონსარევესკაის სახელობის თეატრში — ტ. ხ.) გადსცეს ნ. დუმბაძის მთელი კოლექტივის მადლობა.⁵

ეს საუბარი ნათლად მეტყველებს ნ. დუმბაძის პიესის აღიარებასა და პოპულარობას.

დღეს „ნუ გეზინია, დედა“ ჩვენი ქვეყნის სამოცამდე თეატრში იდგება. რეჟისორული თვალსაზრისით ყველაზე საინტერესოა აზიზბეგოვის სახელობის ბაქოს სახელმწიფო აკადემიურ თეატრში განხორციელებული წარმოდგენა, რომელიც თეატრმა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიუძღვნა.

სცენის მთელ სიმაღლეზე აღედგა „ქართლის დედა“, მოჩანს მთაწმინდის სილუეტი, ხოლო დარბაზში გაისხის რ. ლალიძის პოპულარული „სიმღერა თბილისისა“. სპექტაკლის ავტორებმა უნაკლებ მიიტანეს მასურებლადვე დუმბაძისეული გმირების ჰუმანიზმი, ადამიანური განცდები, სიბარული და ტკივილები.

როგორც ადგილობრივი პრესა აღნიშნავდა, სპექტაკლმა „ნუ გეზინია, დედა“, საინტერესო ფურცელი ჩაწერა ქართული და აზერბაიჯანული ხალხების თეატრალური ურთიერთობის ისტორიაში.

* * *

მწერალი ოტია იოსელიანი თანამედროვე ქართველ პროზაიკოსთა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. მის შემოქმედებაში ნათლად იგრძნობა სოციალური ყოფის აქტუალური პრობლემებისადმი ცხოველი ინტერესი, ადამიანის სულიერი თუ ინტიმური სამყაროში წვდომისა და მხატვრული განხორგადების კარგი უნარი, სწრაფობა ტრადიციის შემოქმედებითა და თავისებობათა ნოვატორული წარწყმობისაკენ. ყოველთვის ამან მწერალს დამახარებელი პოპულარობა მოუტანა. ამიტომაცაა, რომ მისი რომანები თუ მოთხრობები მასობრივი ტირაჟით გამოდის ქართულ და მოძველ საბჭოთა ხალხების ენებზე, აგრეთვე უცხოეთის მრავალ ქვეყანაში.

მაგრამ მწერლის კალმის სიძლიერე მის დრამატურგიაშიც გამოიხატა. ო. იოსელიანის რამდენიმე პიესა წარმატებით დაიდგა საქართველოს თეატრებში. განსაკუთრებული მოწონება ხვდა პიესას „სანამ ურემი გადაბრუნდება“, რომელიც საქართველოს გარდა ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკების სარეზონანსო თეატრებშიც დაიდგა.

ორჯონიძეებში, მახაყალაში, ნალიკოში, მაიაკოში, ვორონეჟში, ტულაში, ერევანში, პერმში, ვოლოგრაში, ტარტუში, კიროვოგრადში, დნეპროპეტროვსკში, კიევიში, ხარკოვში, ლენინგრადის ოლქში, ოდესაში, ნიკოლაევსა და სხვა ქალაქებში განხორციელებულმა ამ პიესამ ავტორს დამახარებელი სახელი მოუტანა.

მიუხედავად ამისათვის მშობლიური სახლია, სადაც მის წინაპრებს უცხოურათ, სადაც შობილები ცხოვრობენ, შრომობენ, ახარებენ ბაღ-ვენახას. ეს ყველაფერი ის არის, რასაც საშობლო ჰქვია... ადამიანი, რომელსაც იგი აიწყვდება, რბოს მოწყვდებით ფოთლოვითი განწირულია. მივსება უნდა მიწას, მამულს, ეს კი სიყვარულის გარეშე შეუძლებელია. აი, რა აზრი უდევს საუკეთესოდ ამ პიესას.

წარწომების თემა, ტიპაჟები და მისი იდეური მიზანდა-

სახელება ისევე მასობრივად გახდა რუსისა და უკრაინის სიმებისა და მოლდაველის, ესტონელისა და ლატვიელისათვის, როგორც ჩვენი თანამემამულისათვის. ამიტომ არის, რომ იგი დღესაც წარმატებით იდგება საბჭოთა თეატრების სცენებზე და აყოველი დადგმით ახალ სიცოცხლეს იძენს.

პიესის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ დადგმას სისტემატურად ემზადებდა პრესა, აღნიშნავს მის აქტუალობას, დრამატურგის უღაყო ნიჭიერებას და შემოქმედებით სიმწიფეს.

„თავისებურად და საინტერესოდ წაიკითხა თეატრმა ქართული კომედია „სანამ ურემი გადაბრუნდება“, — წერდა გაზეთი „იზვესტია“ თავის 1972 წლის 26 აგვისტოს ნომერში; გაზეთმა დადებითად შეაფასა სარკოვის ტ. შევჩენკის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წარმოდგენა და ხაზი გაუსვა მისი ავტორისა და რეჟისორის უმაღლესობას, აგრეთვე მსახიობთა კარგ თამაშს, რომლებმაც „ჩინებულად გასწესეს ქართული ხასიათები და სახეები“.

„გაზეთი „საბჭოთა მოლდავეთი“ კი ამა წლის 1 ივლისის ნომერში აღნიშნავდა: „სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მსაფხობის დღეებში კოლექტივმა (საუბრაოა ქ. ბუღელის რუსულ დრამატულ თეატრზე ტ. ხ.) კინოფილში ჩამოიკრიბა მისი ყველაზე უფრო პოპულარული სპექტაკლი „სანამ ურემი გადაბრუნდება“, რომლის ავტორია თანამედროვე ქართველი მწერალი ოტია იოსელიანი“.

„სპექტაკლმა „სანამ ურემი გადაბრუნდება“ გაამდიდრა ერევნის დრამატული თეატრის რეპერტუარი და გააფართოვა მისი შემოქმედებითი კავშირი“ — ვკითხულობთ სომხურ გაზეთ „კომუნისტი“.

„აღიღესკაია პრავდა“ კი ასეთ შეფასებას აძლევს წარმოდგენას, რომელიც დაიდგა ა. ს. პუშკინის სახელობის საოლქო დრამატულ თეატრში: „სანამ ურემი გადაბრუნდება“ მასურებელი ოხიდას როგორც იდეური გამართობით, ასევე რეჟისორული გადაწყვეტითა და აქტიური შესრულებით“.

13 და 30 დეკემბერს ო. იოსელიანის პიესის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ ორი პრემიერა გაიმართა მოსკოვში. პირველად გოგოლის სახელობის თეატრში, შემდეგ კი სამხატვრო თეატრში. მასურებელმა გულთბილად მიიღო ორთავე სპექტაკლი, ხაზგასმით აღნიშნა მათი მაღალი რეჟისორული და აქტიორული დონე.

ამ პიესის დიდ წარმატებაზე არაერთხელ აღუნიშნავთ გაზეთებს: „პრავდას“, „სოვეტსკაია კულტურას“, „ვეჩერნაია მოსკოვა“, ურნალებს: „ტატარს“, „სტრატაგალია კიუნსა“ და იმ ქალაქების გაზეთებს, სადაც აღნიშნული პიესა დადგმულა

* * *

60-იან წლებში ქართულ დრამატულ მწერლობას შეემატა ხასიათებსა და მოვლენებში ღრმა ფსიქოლოგიური წვდომის უნართი დაჯიშვებული მწერალი გიორგი ხუჩუბავისი, რომლის ინტელექტუალურმა დრამატურგიამ მასურებელთა საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია. ნიჭიერმა კრიტიკოსმა გ. ხუჩუბავისმა ადრე თავისი მოკრძალებული სიტყვა თქვა ქართულ პოეზიაში. ხოლო პიესებში, რომლებიც ჩვენი დღეების ბევრი საინტერესო პრობლემას დასმულ-გადაჭრილი, მათ ავტორის ახალგაზრდა თაობის ქართველ დრამატურგთა მოწინავე რაზმში ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა.

გ. ხუჩუბავისი „სულის შვილები“, „ცხოვრება კაცისა“ და „მოსამართლე“ წარმატებით დაიდგა საქართველოს პრავდე თეატრში. ხოლო „ცა და მიწა“ ჯერ კიდევ სამიოდ

5 ნ. მეკლავე „დღეობა თეიონი მიპოვის“. გამოც. „ნაკადული“, 1971 წ., გვ. 182-183.



წლის წინათ წარმოადგინა ესტონეთის სსრ ქალაქ რაკვერის დრამატულმა თეატრმა. აღნიშნულმა პიესამ, რომელიც დადიანის იველიერეისა და მოვალეობაზე მოვეთხროსის, მკურნებელთა ინტერესს გამოიწვია.

ამ ცოტა ხნის წინათ სეკსტაპოლოში დაიდგა გ. სუხაშვილის ახალი პიესა „სამი გიორგი“, რომელიც მეზღაურთა ცხოვრებას და საქმიანობას ასახავს. ამ ორიგინალურად გადაწყვეტილ პიესაზე გამოყვანილია სამი მთავარი მოქმედი გმირი — სამი გიორგი. ისინი საბჭოთა ცხოვრების სპიხი მნიშვნელოვანი პერიოდის შვილები არიან. მათი საინტერესო ცხოვრება დრამატურგმა ერთ სიუჟეტურ ქსოვილად შეკრა. 20-იანი წლების, 1943 წლის და ჩვენი დღეების სამი გიორგი ერთმანეთს უკავშირდება სამყაროს რევოლუციური გარდაქმნებისათვის ბრძოლის საერთო იდეალებით. ეს მამაცი მეზღაურები მზად არიან, უყოყმანოდ შეიგრძნოთ მაკალ ადამიანურ მიზნებს... სპექტაკლმა წარმატება მოუტანა პიესისა და სპექტაკლის ავტორების, რაზედაც შეტყველებს ადგილობრივ პრესაში დაბეჭდილი გულთბილი მკითხველები თუ რეცენზიები.

ამას წინათ გ. სუხაშვილმა სასიხარულო ფეხვამი მიიღო კომინივიდან. რუსული დრამის თეატრის მთავარი რეჟისორი შვიდგერმანი და ამავე თეატრის დირექტორი კოლკოცკა იტყობინებინა: „14 ოქტომბერს თეატრი თავის მხრივ სუხოს ხსნის თქვენი პიესით „მოსახლათლე“...“

საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის იუბილესათვის კიდევ რამდენიმე თეატრმა განახორციელა გ. სუხაშვილის პიესების დადგმა. მაგალითად, ქ. ორჯონიძისა და ყაზახეთის სსრ ქ. ყიზილ-ორდაში, წარმოდგენების პრემიერა საზოგადოებრივ დღეებში გაიმართა.

აკაკი გეგაძე პოეზიით მოვიდა ქართულ მწერლობაში. შემდეგ ზღვირზედ შექმნა რამდენიმე საყურადღებო მოთხრობა და რომანი. მაგრამ განსაკუთრებული პოპულარობა მიაიჭი დრამატურგიამ მოუტოვა.

უკანასკნელ წლებში სამხედრო ომის თემაზე შექმნილ პიესათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ა. გეგაძის ტემპარისტად დრამატული პიესა „წმინდანები ჯოჯოხეთში“, რომელიც მოგვითხრობს ყირიმში მებრძოლი ქართველი ბატალიონის შემოართა სიმახვეზე, აგრეთვე მათს რაინდულ სიყვარულზე, მორალურ სიწმინდესა და ვაჟკაცობაზე. აღნიშნული პიესა მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დადგმით ორასოცდასუთჯერ იქნა წარმოდგენილი, რაც თავისთავად მეტყველებს ამ ნაწარმოების მნიშვნელობაზე.

1969 წელს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ოთარ ალექსიშვილმა „წმინდანების“ დადგმა განასორციელა მოსკოვის საგასტროლო თეატრში. ამ დადგმას წარმატება ხვდა და ო. ლენინის დაბადების 100 წლისთავისაღმდეგ მიძღვნილ მოქმედ რესპუბლიკების დრამატურგთა ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლების საკავშირო ფესტავალში, სადაც პიესის ავტორი დაჯილდოვდა, ხოლო სპექტაკლმა მესამე პრემია დაიმსახურა. მოსკოვის საგასტროლო თეატრმა „წმინდანები ჯოჯოხეთში“ აჩვენა აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებშიც.

დრამატურგ ალექსანდრე ჩხაიძის პიესა „ხიდი“ საქართველოს არა ერთ თეატრში დაიდგა. იგი წარმოადგინა აგრეთვე ა. გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსული დრამის თეატრშიც. თანამედროვე თემაზე შექმნილმა პიესამ გზა გაიკაფა რუსეთისა და სხვა მოხმე რესპუბლიკების სცენაზე. „ხიდი“ ინტერესით ნახეს ალმა-ატის მშრომელე-

მა მ. ლერმონტოვის სახელობის სახელმწიფო თეატრში დრამის თეატრში.

შარშან მოსკოვის კ. სტანისლავსკის სახელობის დრამატულმა თეატრმა მკურნებელს მორეკ პრემიერად უჩვენა ალ. ჩხაიძის „ხიდი“. იგი წარმოადგინა აგრეთვე მოსკოვის საოლქო დრამატულმა და ჩვენი ქვეყნის სხვა სახელმწიფო თეატრებმა. პიესა ახლაც წარმატებით იდგმება სხვადასხვა თეატრებში და ყველაზე მკურნებელთა მოწონებას იმსახურებს პრობლემის აქტუალობით ხასიათების გამოკვეთილობითა და აზრის სიღრმით.

„ხიდს“ ახა ერთი დადგებით რეცენზია უძღვნა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა გაზეთთა თუ ჟურნალმა.

ქართულ დრამატულ მწერლობას სახელი გაუთქმევს სხვა ქართველმა დრამატურგებმაც, რომელთა პიესები, თუმცა არც იქნებიან, მაგრამ მაინც დადგმულა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ამ მხრივ საყურადღებო იყო ლენინოვადის ლინინური კომპაზიონის სახელობის სახელმწიფო თეატრში 1949 წელს წარმოდგენილი ჩვენი სასიკადულო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შალვა დადიანის ისტორიულ-რევოლუციური პიესა „ნაპერწყლიდან“, რომლის დადგმასაც ვრცელი რეცენზია მიუძღვნა „კომსომოლსკაია პრავდაში“ (1949 წ., 15 დეკემბერი).

ჩვენი რესპუბლიკის თეატრალურ ზოგირბანს გასცა აგრეთვე განიონ დარასდღის „კიკვიძე“, რეჟს ენრალიძის, ნიკოლოზ არემიძისა და სხვათა პიესები.

სამოციანი წლებიდან აღმავლობას განიცდის ქართული საოპერო მუსიკა. ქართული მუსიკალური კომპოზიებისა და ოპერებისაღმდეგ ინტერესი თანდათანობით იზრდება ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც.

ერენგისა და ბაქოს შუიკალური კომედიის თეატრებში დაიდგა და მკურნებელთა მოწონება დაიმსახურა შოთა მილოვანსა და ლევან ჭუბინის პოპულარულმა ოპერებმა „სიმღერა თბილისზე“, წარმატება ხვდა წილად გიორგი ცაბაძისა და ნოდარ ზუნწარაის „შესანიშნავ სამეფულს“ მოსკოვის, ოდესის, რიგისა და ვოლგოგრადის ოპერების თეატრებში. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის საიუბილეოდ სავრდოვსკაში განხორციელდა გიორგი ცაბაძის და მიხეილ თერნიშვილის „კურთხე ქორწილი“, ამავე კომპოზიტორის ნაწარმოებები „ჩემი შეშლილი ძმა“ და „თოვლის მიწის მელოდები“ დაიგდა აგრეთვე ოდესისა და ვოლგოგრადში. ერენგის შუიკალური კომედიის თეატრში განხორციელდა შოთა ჯოჯოხე და ოთარ რაზმაძის ოპერებმა „ორი ქალიშვილი“...

ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური საბჭოთა ხელოვნება ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა სულიერი დასახლების ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი საშუალებაა.

ქართული დრამატურგია, რომელიც გაბედულად ეჭიდება თანამედროვეობის მრავალ მძღრ პრობლემას, მტკიცედ მიაბიჯებს საბჭოთა ხალხებს შორის გაღებულ მარადილი ძმობის ხილზე და თავისი წვლილი შეაქვს ჩვენი სისხლსავე სხ ცხოვრების, ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის ასახვის, პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდის კეთილშობილურ საქმეში.





საბმრთველ(ის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ისტორიულ მეგობრობას ახალი ძალა, შინაარსი და შუი შეშტა საბჭოების ერთ მძღავრ ოჯახში გაერთიანებამ. ამა ახლა, როცა ჩვენი დიდი სამშობლოს სახელმწიფო აღმის ქვეშ დარაზმული თხოუმეტი საბჭოთა რესპუბლიკა დღესაწაულობს თავის იუბილს, ამ დღე ზეოზე შრომითი წარმატებებით მოვლენე ამერკავების რესპუბლიკებზე, რომლებმაც თავი გამოაჩინეს თეთმოუფადი, ეროვნული ლატერატურითა და ხელოვნებით, რომელთა შორის საბატიო ადგილი უჭირავს კიანს.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით მკთხოველებს ვთავაზობთ ტ. თვალტრელიძის წერილებს. სომხური და აზერბაიჯანული კინოხელოვნების შესახებ.

აპირკაპკასიის

მოქვე ხალხთა

კინოხელოვნება

ტატა თვალტრელიძე

სომხეთის კინო

სომხეთის კინემატოგრაფიის დაბადების ოფიციალურ თარიღად ითვლება 1923 წლის 16 აპრილი, დღე, როცა სომხეთის სსრ სახკომსაბჭოს დეკრეტით ორგანიზებული იქნა სახკინო. მანამდე კი, დაშლამდის სასომხეთში, საკუთარი კინოწარმოება არ არსებობდა. მხოლოდ ცალკეული ენთუზიასტების წყალობით გადაღებული იქნა რამდენიმე დოკუმენტური მოკლემეტრაჟიანი ფილმი. 1920 წელს ოპერატორმა ა. ლემბერგმა ფირზე აბეჭდა წითელი არმიის

შემოსლა სომხეთში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეები, დაშნაკთა მინისტრების დაპატიმრება და სხვა. ამ მასალების საფუძველზე შეიქმნა კინოჟურნალი „წითელი საომხეთი“, რომელიც მაყურებელმა ნახა საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში.

პირველი, რაც სახკინოში მოიძინქმედა, იყო საბჭოთა კინოორგანიზაციებთან ხელშეკრულების დადება, რის შედეგად სასომხეთის ეკრანებზე უკვე 1924 წელს გადიოდა ი. პერსტიანის „წითელი ეშმაკუნები“, ნ. კულმეოვის „მისტერ ვესტის არაჩვეულებრივი თავგადასავალი“ და სხვა. ამ ფილმებმა საოცრად დიდი გაბზომბურება პპოვეს სომხებ მაყურებელში. ამასთანავე სომხები კინემატოგრაფისტებისათვის მისაწვდომი გახდა იმდროინდელი კინოს მხატვრული დონე. სწორედ ამგვარ მაგალითებზე ორიენტაციამ განაპირობა პირველი საბჭოთა სომხური ფილმების მაღალი დონე.

1926 წელს ეკრანებზე გამოდის ფილმი „ნამუსი“, რომლის რეჟისორი, ამო ბეკ-ნაზაროვი. 1915 წლიდან მუშაობდა რუსულ კინემატოგრაფიში და საკმაოდ ცნობილი მსახიობიც იყო. შემდგომ საქართველოში მან რამდენიმე დადგმა განახორციელა, მაგრამ „შეთხვევითი არ არის, რომ თბილისში მუშაობის პერიოდში ბეკ-ნაზაროვის რეჟისურა შემოტლიდა ორიენტალიზმის ძველი განხიზმება: ახალ თვისებებში გადასასვლელად მას ჩაჭირებოდა ეროვნული ნიადაგი, მშობლიური სომხეთის მიწა“. „ნამუსი“ გახდა ხარისხობრივად ახალი მოვლენა, როგორც სომხურ კინოში, ისე ბეკ-ნაზაროვის შემოქმედებაში.

ფილმში, ყოველგვარი ეგზოტიკის გარეშე, დიდი სიმაართითაა ნაჩვენები აღმოსავლეთის ერთი პატარა ქალაქის დუხჭირი, რელიგიური ცრურწმენებით დამონებული ცხოვრება — უნებისყოფი, ტანჯული ქალები (ასივკი მარიამ-ბავის როლში), მოქალაქეთა გონებრივი სიჩლუნვე, სიზარმაცე.

„სურათში „ნამუსი“ — წერდა ფილმის ლიტერატურული პირველწყაროს ავტორი, სომხური ლიტერატურის კლასიკოსი შირვანზადე, — ყველაზე უფრო მომეწონა რეჟისორის ჭკიანი და ყურადღებიანი დამოკიდებულება ჩემი რომანისადმი. იშვიათად შემხვედრია ბელეტრისტული ნაწარმოებისადმი ასეთი მიდგომა“.

ფილმში საინტერესო სახეები შექმნეს მსახიობებმა: ნერსესიანმა, აბელიანმა, მკრტირიანმა. ისინი ჩაწვდნენ გმირების შინაგან სამყაროს, მონახეს გრძნობათა გამოხატვით კინემატოგრაფიული ხერხები. აღსანიშნავია ფილმის ფინალი: სუსანასა (მსახიობი მ. შახუბატაიან-ტატიცვა) და სეროიანის (ს. მკრტირიანი) უსიციოესი სხეულები გარბომულა მიწაზე. დაბნეული და შეძრწუნებულია რუსტამი — პ. ნერსესიანი. აქ, ისევე, როგორც მთელი ფილმის მანძილზე, ნერსესიანი — მომავალში სომხური საშხახიობო ხელოვნების მშვენება — გარეგნულად თავშეუკავებელია. გამიზნდა ბარსუდარი-აბელიანი, ველ-ნელა ქრება მისი მწერა, უბედურებამ მოტეხა, მიხარა ეს ამაკი მოხუცი. იგი მხოლოდ ახლა ხედება, რომ ნამუსის ცნება, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე იცავდა, უაზრო და დამღუპველი აღმონება ადამიანებისათვის.

ფილმმა უდიდეს რეზონანსი პპოვა სასომხეთში და მის გარეთაც, მას დადებითი შეფასება მისცა საკავშირო პრესამ. პარიკი, ნიუ-იორკი, თეირანი, ბერლინი ესალმებოდა სომხური კინოს პირველ თვალსაჩინო ნაწარმოებს. ბეკ-ნაზაროვი კი შემდგომშიც აგრძელებდა ეკრანზე აღმოსავლეთის ჩვენებას რეალისტურ ფერებში. 1927 წელს დადგებული „ზარე“ ანეითარებს „ნამუსიში“ მიგნებულ სწორ

1 „საბჭოთა კინოს ისტორია“, ტ. I, გვ. 657.



ტენდენციას. ამ ფილმშიც აშკარად იგრძნობა იმდროინდელი სინამდვილისადმი კრიტიკული დამოკიდებულება. საერთო ფონზე გამოიყოფა ხალხის წიაღიდან გამოწეული გმირის სახე, რომელიც ნელ-ნელა დიდიბუბა სოციალური თვითშეგრძნება. პ. ნურსისხანის თანამშა ბევრად განაპირობა ფილმის სიღრმე. „ხმლისა და ხანჯლის“ რომანტიკამ როდ გაიტაცა მასხიობი. იგი ცდილობდა მაყურებელი დაეინტერესებინა თავისი გმირის — ღარიბი ქუჩის მწყვეთის ბედით, დევანჯვების საიდის სიყვარულის ძალა და ბრძოლა ამ სიყვარულის მოსაპოვებლად.

1928 წელს გადაღებული ფილმის „ხას-პურისი“ შემდეგ ბეკ-ნაზაროვი წერდა: „შესანიშნავი შედგენების, საიდუმლო პარტიებისა და ავხორცეული თდალისკების ნაცვლად ფილმში ნაჩვენებია ნამდვილი, ცხოვრებისეული აღმოსავლელი, დატაკი და შვირი აღმოსავლელი, ეკონომიური, სამხედრო-ფეოდალური უღლის ქვეშ მტკიცე და მეორეს მხრივ — მრისხანე, მეამბოხე, მეგრძოლი აღმოსავლელი.“²

არსებობს დოკუმენტები, სადაც აღბეჭდილია ანრი ბარბუსის დადებითი აზრი ზემოთ ჩამოთვლილ ფილმებზე და კერძოდ, „ხას-პურზე“.

ამრიგად, ბეკ-ნაზაროვის ფილმებმა განაპირობეს სომხური მუხჯი კინოს სათანადო დონე. იგი სამართლიანად ითვლება სომხური ეროვნული კინოსთვის ფუძემდებლად. ბეკ-ნაზაროვმა გზა გაუკვალა კინემატოგრაფისტებს, ცხოვრებისეული, მართალი სურათების შესაქმნელად.

1928 წელს პ. ბარხუდარიანი და საქართველოდან მოწვეული მიხეილ გელოვანი შირვანჯავადს ერთ-ერთი „მოთარსის“ ეკრანისაციას შეუდგნენ. ერთ-ერთი მთავარი როლი — გიგ დანიელს მიხეილ გელოვანი ასრულებდა.

ფილმი სანტრესულა მინახული კინემატოგრაფიული ხერხი — სწრაფი მონტაჟური გადასვლები, რის საშუალებითაც კვანძზე გამოჩნდება ხან ახალგაზრდა, ძალბრუნით თავებ დანიელი, ხან ეკ მუშლილი ბერაკაცი. სანტრესო იყო, აგრეთვე, სომხური თეატრის გამოჩენილი მასახობების — ნინა მანუჩარიანისა და ასმიკის ნამუშევრები.

ამას მოჰყვა სომხური ლიტერატურის მეორე კლასიკოსის ოფანე თუმანიანის პოემის „ანუსის“ ეკრანისაცია. ფილმის დამდგმელ რეჟისორმა საქართველოდან მიიწვიეს ივანე პერესტიანი. პერესტიანმა პროფესიულად გააშალა კინემატოგრაფიული მოქმედება და სიუჟეტის სწრაფი განვითარების შედეგად დაამაბო ატმოსფერო შექმნა ეკრანზე. მიუხედავად ამისა, ფილმში მაინც ვერ გასსნა თუმანიანის პოემის პოეტური არსი — მისი პატარა სოფლის გმირთა სულიერი სამყარო. ამიტომ ფილმი ვერ დადგა „ნამუსის“ და სომხური ეკრანის სხვა მიღწევების გვერდით.

1934 წელს რეჟისორმა ა. მარტიროსიანმა განახორციელა ო. თუმანიანის მეორე ნაწარმოების „გიორგის“ ეკრანისაცია, სადაც კვლავ გაიფიქრა პრიაჩა ნურსისიანის ტალანტმა — გიორგის მამის, ამბოს როლიში.

გარდა აქტიური მამწევისა, ფილმში სანტრესო იყო მისი გამომსახველობითი მხარე. სურათის მხატვარმა ს. ტარიანმა და ოპერატორმა გ. ბეკ-ნაზარანმა კოლორიტულად გადმოგვცეს ძველი თბილისის ყოფის ამასხიელი სურათები.

...დატკენილ შარავზე მოაბიჯებენ ყმა და გიჭირი, ნელა უახლოვდებიან დიდ ქალაქს. ამბოწველი მოწყენია

შესტყერის მომაბეზრებელ, ერთფეროვან ლანდშაფტზე, მაგრამ უცებ თვალში გაუბრწყინდება, როცა ნახავ ვიწრო ქუჩებს, დასლიდარებსა და წვირომან მოვარებებს. კინტოებს, ყარაჩხილებს, კობჭა, ინტრუსტირებულ მანსარებს, ფანჯრებთან მდგარი ლამაზ ქალიშვილებს. სიცოცხლე დღეს ამ კლასილ ქუჩებში. შემდეგ კი, როცა რეჟისორი გვიჩვენებს ამ ცხოვრების მეორე მხარეს, გიჭირთან ვაჭრის დამოკიდებულებას, ნათელი ხდება ფილმის სიღრმე, ტრადიციული თემის ახლებური გახსნის ცდა.

სომხური კინოში, ისევე როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კინოხელოვნებაში, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ისტორიულ-რეალისტური თემატიკას: „მინა“ (1927 წ., რეჟისორი ა. იალოვი), „სამალა“ (1930 წ., რეჟისორი ი. პერესტიანი), „ჰორი ლამა“ (1933 წ., რეჟ. პ. ბარხუდარიანი). ეს ფილმები წარმოადგენენ ხალხის ერთსულივნების, თავის უფლებებისათვის მისი თავგანწირული ბრძოლის გადმოცემა-დახატვის გაბეჭდულ ცდას.

„სახლი ვულკანზე“ (1929 წ.) — სომხური და აზერბაიჯანული სტუდიების ერთობლივი ნამუშევარია. სურათის გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვით ქართველ მასახობებსაც. რეჟისორმა ამო ბეკ-ნაზაროვმა სახილთა კინოხელოვნებაში ერთ-ერთმა პირველთაგანმა გააშუქა ეკრანზე ცარიზმის ფინანსდამცე ამირეკავკასიის პროლეტარიატის ბრძოლების თემა, „სახლი ვულკანზე“ პრინციპულად ასალი ნაბიჯი იყო გამოღვიძებული აღმოსავლეთის საჩვენებლად.

სომხური მუხჯი კინო დიდ ავიღოს უთმობს თანამედროვე ქალაქისა და სოფლის ცხოვრების პრობლემატიკას ასეთი ფილმებია: „მთების შვილი“ (1932 წ., რეჟისორი პ. ბარხუდარიანი, გამომჩენილი მწერლის აქსელ ბაკუნცის სცენარის მიხედვით), „ქუჩრიდი-ქიხიდი“ (1933 წ., პ. ბარხუდარიანმა და გ. ბალასიანის სცენარის მიხედვით ფილმი დადგა რეჟისორმა ა. მარტიროსიანმა), „არუბი“ (1933 წ., რეჟისორი პ. არზანდი), ეს ფილმები სწამართლიანად დაჩრდებ 30-იანი წლების ცხოვრების ამსახველ თავისებურ ისტორიულ დოკუმენტებად.

სომხური მუხჯი კინოს პერიოდში შეიქმნა სამი კინოკომედია და სამივე შევიდა სასომხეთის კინოხელოვნების შემოწმდებით აქტივში. ესენია: „შორი და შორშორი“ (1926 წ., სცენარის ავტორი და რეჟისორია პ. ბეკ-ნაზაროვი), „ეკოსი“ (1931 წ., რეჟისორი პ. ბარხუდარიანი) და „მექსიკელი დიპლომატები“ (1931 წ., რეჟისორი ლ. კლანტარი და ა. მარტიროსიანი).

პირველი მათგანი მახვილად, სანტრესოდ ასახავს სოფლის მეურნეობის ყოფას, რომელიც პროლეტარული სულიერ დასდგმულ ამპარებზე ამპარებუ ხანაზანი და არამ ამირეკიანი, მეორე ფილმი მახვილი სატრული ხერხებით ახადგურებს დანაშაუ წარმომადგენლებს და გვიჩვენებს დატაკი გლეხების ცხოვრებას; მესამე — ნამდვილი მამფელტია. იგი სამართლიანად შევიდა სომხური კინემატოგრაფიის ოქრის ფონში, როგორც საუფესო კინოსატარია.

1935 წელს ეკრანზეც გამოდის პირველი ხზოვანი სომხური ფილმი „მეპო“ (გ. ხუნდუკიანცის პიესის ეკრანისაცია). ამ სურათში პ. ბეკ-ნაზაროვის რეჟისორული პოლიტიკა იდეე უფრო მდიდრდება. კომპოზიტორ არამ ხაჩატურიანის (ეს ფილმი მისი დებიუტი იყო კინოში) მუსიკას მართება დამდგმულ უფრო მკვეთრად გამოხატოს ფილმის კონფლიქტი (დატაკ პეპუსა და მდიდრი ზომიერები შორის), უკეთ აჩვენოს გადაულახავი ბარიერის არსებობა. მართალია, სიმართლის მამიებელი პეპო ვერ აღწევს საწადელს, მაგრამ მეტობრებთან ერთად ზეიმობს მორალურ გამარჯვებას. ფილმმა, როგორც მისმა პირველწყარომ — პიესამ, გაარღვია ეროვნული საზღვრები და სახელი გაუთქვა სომხურ კინოს.

² „საბჭოთა კინოს 20 წელი“, „მოსკოვინობადტა“, 1940 წ., გვ. 77.

ომისდროინდელი სომხური კინო წინსვლას განაგრძობს ბევრ-ნაზარკოს ფილმით „დავით-ბიჭი“. XVIII საუკუნის გამოჩენილი სომეხ მხედარნიმთავრის, ირანელი დამპყრობლის წინააღმდეგ მებრძოლი ლეგენდარული გმირის დავით ბიჭის სახე მალალსტატურად გამოკვეთა შესანიშნავა მსახიობმა პ. ნერსისიანმა.

სამშობლო ომის შემდეგში სომხური კინოთრედაქციის ერთ-ერთი გამოჩენილი განსაკუთრებული შემოქმედებითი მიღწევებით. მთელს სამშობლო კინემატოგრაფიაში „ფილიმონოვების“ ეს პერიოდი დასაბუთა ნაწარმოებები „დალიმ მხატვრული-ესეთიკური ხასიათის. სტუდენტ ვლადიმერ ერთ-ორ სურათის უმეტიდენ და, რა თქმა უნდა, ასეთ დროს მეტად რთული იყო იმ ახალი მოვლენების სრულყოფილად გამეყება, სასოფალოდონივ ცხოვრებაში რომ ჩნდებოდნენ.

დრამატურგია ექვემდებარება ნაცად კანონებს, რეჟისორები იბრუნებენ დადგენილ სქემებს, ამიტომაც ამ პერიოდის სომხურმა ფილმებმა „ანატიკა“, „ჯადოსნური ფარდაკა“, „მთის ტბის საიდუმლოება“, „პრედილები ტურეზებზე მწვერვალზე“ და სხვა, ვერ გამოავლინეს ვერც ახალი კონფიქტები, ვერც მხატვრულ სახეთა ღირსეული ნიმუშები.

მხოლოდ 60-იანი წლებისათვის იწყება სომხური კინოს ამაღლება. ევროპულ ჩინება ახალი და საინტერესო პრობლემებია. რეჟისორები ცდილობენ წამოჭრან თანამედროვეობის აქტუალური საკითხები. სწორედ ამ პერიოდში რეჟისორი ა. აი-არტიანი ახორციელებს შირგანხადეს რომანის „პატრონებისათვის“ ევროპისაკნას. ფილმის პოპულარობა იხვე და იხვე ნერსისიანის თანამშა განაპირობა. მსახიობი ქქნის გამდინდრების მანიით შეპყრობილი ადამიანის დრამა ფსიქოლოგიურ იერსახეს. ასევე საინტერესო აღმოჩნდა მადურელისათვის ე. კარაბიანის და ს. გეგორიანის ფილმი „ქუხილის ბილიკა“, ცნობილი რეჟისორების კამოზე შექმნილი ფილმი „პირადი ცნობილი“, „გზა არენისკენ“ (რეჟისორები დ. ისაკიანი და გ. მალიანი), „მღერის გოპარ გასპარანი“ (რეჟისორი გ. მელიქ-ავაქიანი).

თანამედროვე სომხური კინოსელოვებში საინტერესო მოვლენად იქცა ფ. დოვლიათიანის სურათი „გამარჯობა, ეს მე ვარ“ — ამაღლებული კინოთხობობობა ერთგულებაზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე, მალად მიზნისაკენ ღრულვანზე. პიროვნებამ უნდა შეიგნოს პასუხისმგებლობა იმაზე, რაც გონივლითი ხდება. სწორედ ასეთები არიან ფილმის გმირები არტემი და ოლეგი. მათ რთული ვარჯიშულ, მაგრამ არ უღალატეს ცხოვრებისეულ პრინციპს და ხორცი შესესი თენებს: მთავრე ათმეტი კოსმოპოლი ლაბორატორია. ფილმის მონაწილეთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა ამგვარად ცნობილი, მათში კი ახალგაზრდა მსახიობი ა. ჯიგარხანიანი.

ფილმი „სამკუთხედი“ განსაკუთრებული პრინციპით აღინშნა მეორე საკვიპო კინოფესტივალზე ირანში. ქორინის გადაწყვეტილება ძირითადად განაპირობა ჯიგარხანიანის, გ. მარტიანის, ს. სარქისიანის და ზ. ლაფერიანის მიერ შექმნილმა მტიკე მიზნებისა და მისწრაფების გმირება.

სწორედ ფრანკაილი თვლის, რომ კინემატოგრაფი სახვითი და რასამეტიკველი ხელოვნებაა, იგი ვისუფალი პარონის სამყაროა, და სწორედ ამ პოზიციებიდან ვაიმოდინარე დავამ ფილმს საიათ-ნოვანზე.

რეჟისორი ყმაწვილი საიათ-ნოვანს და მისი შეყვარებული დედოფალი ანას როლუმს ერთ მსახიობს — სოფიკო

კიაურულს აკისრებს. დედოფალი ანასა და საიათ-ნოვანს ერთმანეთისაგან ანსხვავებს ჩაცმულობა, გარეგნობა, მაგრამ ირთვე პერსონაჟის გრძობები, შინაგანი მდგომარეობა, განწყობა ერთნაირია. და კიდევ ერთ რამ აქვთ მათ საერთო — თვალები: მისიყვარული, განცდივრებული, სედიანი...

ამ ფილმში სოფიკო კიაურულმა ექესი როლი განასახივრებს: ზემოთ ჩამოთვლილი ორის გარდა „მონაწილის თეთრ მაკანანეში“, „სპარსული ნიღაბი“, „ყმაწვილი თეთრ სამისში“, „პოეზია“. სურვეი ფრანკანოვი — საბჭოთა კინოსელოვების ეს ერთ-ერთი საინტერესო შემოქმედით — აღფრთოვნებით ანასათვის ქართველ მსახიობს: „მასში შერწყმულია აღმოსავლეთის ფრესკების პლასტიკობა, ირანული მინიატურის დახვეწილობა და მიზანტურის ხელოვნების სკულპტურულობა“.

ფრანკანოვის მიზანი ევროპულ შექმნას დიდი აშულის პოეტურ სამყარო, მისი ხელების საექტრი, შთაბრძნების წყაროს სიმბოლური გამოხატულება; ამიტომაც ფილმში წარმოსახა დიდი პოეტის არა ბიოგრაფია, არამედ საიათ-ნოვანს პოეტურა არის შესატყვისი კინემატოგრაფიულ-სახვით-მუსიკალური ექვევალენტია.

ისტორიულ-რეჟისორულ თემამზე შექმნილი ფილმის „მშენი სარიონების“ დამდებელი რეჟისორებს ხ. აბრამიანსა და ა. სიგაპეტინის თემის საუკეთესოდ გახსნისათვის მიენიჭა სპეციალური პრიზი მისიკის მეოთხე საკავშირო კინოფესტივალზე.

საინტერესო მუსიკალურ-კომედიურ ჟანრში გადაწყვეტილი რეჟისორი ა. მანარინის ფილმი „კარნივ“. ყურადღების დრსია გ. ხუნდუკიანის პიესის „ხათალას“ ე. ერსნიკიანისეული ევროპისაკნა.

საინტერესო მოაზროვნეა ახალგაზრდა სომეხი მწერალი გრანტ მათეოსიანი, რომელმაც საკუთარი რომანის „მე და ჩემი მიზეზი“ საფუძველზე შექმნა კინოსცენარი. მის ევროპისაკნას უკვე შეუდგა ა. ბევრ-ნაზარკოს სახელობის სომხური კინოსტუდია.

„სამშობლო — ეს არის ზალხი და მისი ისტორია, მისი მიწა-წყალი, ქვები, ქარხნები, ჩვენი წიგნები და ჩვენი სიმღერები“. სომეხი პოეტის გიორგი კენის ამ სიტყვებით იწყება რეჟისორ გ. მელიქ-ავაქიანის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „შვიდი სიმღერა სომეხეთში“. თითოეული სიმღერა, უპირველეს ყოვლისა, არის ფილმის ადამიანებზე, ვინც განვლო თბული და წინააღმდეგობებით სახვე ვარ, მაგრამ არ დაკარგა სულიერი სიმსიგევე. შრომა-გარჯის, სიხარულისა და ზედნიერების შეგრძნების უნარი. აი, სომეხი ზალხის გამოჩენილი ადამიანები: თავისუფლების მოყვარე დავით სახუნელი, საიათ-ნოვან, კომპოზიტორი კობიტასი, პოეტე ნალბანდიანი, მხატვარი მარტიროსი სარიანი, მომღერალი გოპარ გასპარანი, მწერალი მარიეტა შაენიანი, აკადემიკოსი ამბარკუბანი და მრავალი სხვა... ბევრ მათგანზე ცალკე სურათები შეიქმნა, მათი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი „ფილმ-პორტრეტები“ სახით.

რესპუბლიკის ცხოვრებას ფესდაფეს მიჰყვება სომხური დოკუმენტური კინოც. იგი ცდილობს ასახოს საბჭოთა სომხეთის დღევანდელი დღე, შემოქმედებითი ზრდა, ხალხის უმრეტე პოეტეკური შესაძლებლობა.

განსხვავებულია ფილმები, თემები, მაგრამ ერთი საერთოა — ერთგულება ეროვნული კულტურის ტრადიციებისადმი. სწორედ ეს არის თანამედროვე სომხური კინოს სათავე.

**კ. მარჯანიშვილის დაბადების
100 წლისთავი**

კ. მარჯანიშვილი 1908 წ. ოღესაში.



ელისაბედ სიღაზონის ასული ჭეჭავაძე
(რეჟისორის დედა).

ალექსანდრე ანდროას ძე მარჯანიშვილი
(რეჟისორის მამა).





ქობე

პარკანიშვილი

პეტრობრადის

მუსიკალურ თეატრში

ქეთევან ხუციშვილი

არინ აღმავინაში, რომელთა დიდებუა და ერის წინაშე მათ მნიშვნელობაზე დროთა სვლა ვერ მოქმედებს. ასეთია კოტე მარჯანიშვილი, რომელიც იყო და მარად დარჩება საბჭოთა თეატრის მებაირსატიედ. საბჭოთა დიდი ნიუგატორი, შემოქმედებითა და სულით მებამონე, საბჭოთა თეატრის საუკეთესო მესაჭე და საქართველოში ეპოქა-ლური თეატრის შემქმნელი.

კ. მარჯანიშვილს უსაზღვროდ მდიდარი და ფართო შემოქმედებითი ბიოგრაფია აქვს. მისი შემოქმედება ჰყავდა მიიდან მოხსილელ ღვართქადავ ქვეულ დურუქს, რომელიც ვერ იგუება არტახებში მოქცეულ კალაპოტს და მარად ეძიებს დიდსა და ფართო გასაქანს. დურუჯი ანერევეს ძველსა და მის ნაკვალევზე სტოვებს ახალს. ასე ანერევედა მარჯანიშვილი დრომოჭმულსა და ხავესმოდებულს თეატრალურ ხელოვნებაში. იგი ვერ ურიგდებოდა შალღოსს, შტამპსა და რუკინისა. მას თეატრი სიცოცხლის დამამკვიდრებელ და დღესასწაულად მიარჩნდა. „გი ეამობო — ამბობოდ მარჯანიშვილი — ხელოვნების ყველაზე ნათელი მიზანი არის სიხარული, დღესასწაული და ასე ნათლად არსად არ ითქმება იგი, როგორც თეატრში“¹. მარჯანიშვილი ხელოვნებას უწოდებდა „რომის საპატარღოს“² — „ხელოვნება არის სიხარული, ხელოვნება არის ბედნიერება, ხელოვნება ეს არის საყვარელი გოგონას დიმილი“³.

„ხელოვნების მიზანი სულ უბრალოა — მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა“. ასე სწამდა თეატრის და მისი დანიშნულება კ. მარჯანიშვილს. ამიტომ იყო მისი ხელოვნება სიცოცხლისა და სიხარულის დამამკვიდრებელი, დრამა იყო, ოპერა თუ ოპერეტა, პანტომიმა თუ კინო — ყველავე, ყველა თეატრში მისი შემოქმედება ებოქის თანხმობანი იყო. ამიტომ ამბობდა იგი: „თანამედროვეობის გარეშე თეატრი არ არსებობს“. ამიტომ პოულობდა გამოსახილს მის შემოქმედებაში ეპოქის მოწინავე იდეები.

მეტად საინტერესოა კ. მარჯანიშვილის ნოვატორული ძიებანი მუსიკალურ თეატრში, რის გამოც იგი თეატრალურ პეტრობრადის რეჟიმატორად მიეცილია, თუმცა ოპერეტის ქანში რეფორმა ჯერ კიდევ მოსკოვის „თავისუფალ თეატრში“⁴ შემეინიერი ელანისა და დოკმით დაიწყო. ამ სპექტაკლში მან უარყო არა მარტო ოპერეტის მოძველებილი ფორმები, არამედ პირველად დაამყარა მსახიობის თამაში სინთეზური ხელოვნების პრინციპებზე.

კ. მარჯანიშვილი შემთხვევით არ მოხვიდრიოა ოპერეტის თეატრში. იგი მუსიკალური თეატრის შექმნაში ჯერ კიდევ სამხატვრო თეატრიდან წასლის შემდეგ თანობობდა. სწორედ ამ ქანში ხედავდა სინთეზური ხელოვნებისათვის ყველაზე მეტ შესაძლებლობებს. ამიტომ მიითხოვდა ოპერეტის მსახიობისგან მაღალ თეატრალურ აკულტურას და განსაკუთრებულ სამსახიობო ოსტატობას. იგი ოპერეტის მსახიობში სჭერებდა ისეთ შემოქმედს, რომელიც ერთდროულად ფლობს სიტყვას, სიმულრას, პოლსტიკას, ცეკვას და სხვა. მეტად საყურადღებოა მარჯანიშვილის აზრი იმ პერიოდის ოპერეტის ხელოვნებაზე და მის მსახიობზე: „თანამედროვე ოპერეტის მსახიობს არ ჰყოფნის თანამედროვე თეატრალური აკულტურა. არ ესმის ოპერეტასთან დაკავშირებული ფორმები, რომელნიც წარმოადგინენ სინთეზური თეატრის დედააზრს და რომლის ელემენტებია — სიტყვა, ჟესტი, მუსიკა, სიმულრა, ცეკვა“.

ოპერეტის მსახიობი გარდა ჭკობისა და ცოდნისა უნდა ფლობდეს თანდაყოლილ მახიოლოგიურიუნებას, იმპროვიზაციულ ნიჭს, რის გარეშე უაზრობა ოპერეტა. არ ვლბაპარა-კობ უკვე ნიჭის შესახებ — იპოპოს მსახიობი ფორმები საზოგადოების სატირის გამოსახატავად“⁵.

პეტრობრადის ოპერეტის თეატრში მოშობა კოტე მარჯანიშვილის შემოქმედების მიკაო საინკირესო ხანაა. იგი პირველი რეჟისორი იყო რუსეთის თეატრალურ მოღვაწეთა შორის, რომელმაც ხელი მოჰკიდა ამ თრობსათვის თითქმის უკვე აღარ არსებულ, რეპარტარის თეატრსახისითაც მეტად გაღარბებულ ქანს. ამ მსოლოდ უცხოური ოპერეტები ითამებდა. რომლებიც, ძირითადად, არისკორეტატი ცხოვრობის თემებზე იყო აგებული. მაგრამ მარჯანიშვილი მაინც პოულობდა თანამიდროვი რუსეთისათვის დამახასიათებელ თვისებებს და ახალი ქლერადობით აცხემდა მათ.

რეჟოლუციის პერიოდის ოპერეტკამ დაკარგა იდური სიღრმე. იგი მსოლოდ თარსად იქცა. რეჟოლოკიის წინა წლებში და შემდეგ, რეაქციის დროს, ხელოვნებაში ესთეტიკიზმისა და ფორმალიზმის ბატონობამ უარმყოფელი გაავლდა მოზებინა თეატრალურ ხელოვნებაზე. ხელოვნება ჰქარებდა დიდ აზრს, მაღალ გრძობობებს, შემოქმედებით გამმეღაობას.

ასეთ პირობებში გასაგებია მუსიკალური თეატრის მდომარეობა. მას უკვე დაკარგული ჰქონდა სატირის თვისებები და ხელოვნების ეს ცხოველმყოფელი ქანი მოსაწყენი გახდა. მან დაკარგა თავისი დანიშნულება და საზოგადოებისათვის უცხო ქანდ დიქცა. ასეთ პირობებში საოპერეტო რეჟისურაზე და სამსახიობო ოსტატობის მა-

3. „საბჭოთა ხელოვნება“ № 12, 1972.



დალ მხატვრულ დონეზე ლაბარაკი კი უდმეტი იყო. უნდა ითქვას, რომ ოპერეტა მორალური გახრწნის კერას წარმოადგენს⁴⁴ (კ. ანდრონიკაშვილი).

მარჯანიშვილის შემოქმედება გამოირჩეოდა შემართებითა და დიდი გამბედაობით, იდეურითა და დემოკრატიული მასიანობით, უფრო მეტიც, მისი შემოქმედება ამ დროს ბუნებრივად, პოლიტიკური უღრმადობისაკენ (1907—1908 წწ. და შემდეგაც). სწორედ მარჯანიშვილმა ითავა ოპერეტის თეატრის საჭის ხელში აღება და მისი წარმართვა ჭეშმარიტი რეალისტური ხელოვნებისაკენ. დიას, მარჯანიშვილი პირველი იყო, რომელმაც უარყო თეატრის ხელოვნებაში მოძველებული ფორმები და განუსაზღვრელი წვლილი დასწო მის აღდგენა-განვითარებას.

„ოპერეტაში მე შემთხვევით არ მოვსულვარ, როგორც ეს შეიძლება მოგვჩვენოთ — წერდა მარჯანიშვილი — მე ყოველთვის ვიყენებოდი ცოცხალ თეატრზე, მხნე და სიცოცხლით სავსე თეატრზე, „მშენიერი გლეხი“, „თავისუფალ თეატრზე“ ჩემთვის იყო არა იმდენად რეალისტური გამოხატობა, რამდენადაც ჩემი მისწრაფების გამოხატობა — შემოქმენა სენსაცუი სიცოცხლით სავსე ატმოსფერო“⁴⁵.

დაის, სწორედ ოპერეტის თეატრში ხდებოდა მარჯანიშვილი ხალისიანი და სიცოცხლისუნარიანი ხელოვნების შექმნისათვის დიდ შესაძლებლობას. ამიტომ 1916 წელს ავადმყოფობის გამო ფრინტიდან დაბრუნებული, პეტროგრადის „საზაფხულო ბუფის“ თეატრში იწყებს მუშაობას. დამს თავის სამატიან ოპერეტას „სულის სურდო“, რომელიც ფორნტზე ყოფიანს დაწერა.

„სულის სურდოში“ მარჯანიშვილს მოცემული ჰქონდა კლასიკური ლიტერატურის გმირები — ფაუსტის, დონ-ჟუანისა და ლონ-კისტოსის სახეები, რომელიც იდეალის ძიებამ რუსეთში მიიყვანა. აქ ისინი მეფისტოროლის მემკვიდრით გვიზიანა ფუტურული ჭაღს და მოგზაური რაინდები სიყვარულით იმპეტავლიან ამ ქალისადმი, მაგრამ ირეკება, რომ ეს ქალი ერთდროულად სამივეს „თანაუგრძნობს“ და მოგზაური ველებიან მას.

ოპერეტა საბურთელო ტონში იყო დაწერილი, მაგრამ მაჟურნეტის ბივის შინაარსი არ მოეწონა, თუმცა სპექტაკლის დადგმის ორიენტირება მსარეტი მოხიზნა. „მარჯანიშვილის რეჟისორულმა ტალანტმა გაიმარჯვა. მისი ხელმძღვანელობით დავიანახეთ მსახიობის ახალი შემოქმედება“⁴⁶.

ოპერეტა „სულის სურდო“ ცოცხლად იყო დადგმული. კოსტუმები, დეკორაცია, ცეკვები, ყველაფერი ახლებურად იყო გადაწყვეტილი.

კ. მარჯანიშვილმა დიდი ფანტაზიითა და გემოვნებით დადგა ა. გ. ბობროშვევა-პუშკინის ოპერეტა „მათი სიძულვილი“, მუსიკა გ. ი. შპაჩკის.

ამ ხუროთმოძღვრების თეატრში მარჯანიშვილის დადგმის შორის გახსურდა ზუპეს ოპერეტა „ბოკაჩი“ (1916 წლის 8 ივნისი), კრიტიკის სიკატეგორიით რომ ვთქვათ, პალის თეატრის შენობაში ქუხდა მარჯანიშვილი თავისი „ბოკაჩითი“. სპექტაკლი ფერადოდან იყო გაკეთებული, იტალიის მუქი ცის ფონზე საოცრად გასაშვება დეკორაციისა და კოსტუმების ცოცხალი, მოვლავარ ფერები.

„ბოკაჩი“ დადგმის თვალსაზრისით, თუ მსახიობთა თანამოხ, მკვეთრი სიახლე იყო, რაც სწრაფად დაინახა და შეაფასა პეტროგრადის საზოგადოებამ.

„მარჯანიშვილის სახით ოპერეტის სენამ“, როგორც იქნა, ითავა ნამდვილი ხელმძღვანელი, მსატარარი რეჟისორი, რომელსაც აქვს ყველა მონაცემი, რომ თეატრალური ხელოვნების ეს ჟანრი გასაუფრთხა, განწმინდოს და დააყენოს შესაფერის გზაზე. მარჯანიშვილმა მოაგვარა ძველ კლასიკური ოპერეტაზე მკერად მიკრული შაბლონი და ტრადიციები, გამოაცოცხლა იგი. აიძულა მსახიობები ვთამაშათ შიშობრი

ფერებით და დიდი სიფრთხილით შეინახა მუსიკის შექმნის ნაგეი სტილი“⁴⁷.

„საგაზაფხულო ბუფის“ თეატრის შენობაში მარჯანიშვილის დადგმები ამკვიდრებდნენ რეალისტურ ხელოვნებას, მის სპექტაკლებში სჩვევდა სილამაზე და სინა-ლისი. „ყოველი მისი დადგმა საინტერესოა და ახალი ოპერეტისათვის. ახალია „ბოკაჩის“ დადგმაც.“

მასში ბევრია სინათლე, მოძრაობა, გამოგონებლობა, ფართო გეგმები, სტილი, ძალზე ლამაზია და საინტერესო დეკორაცია.

ასევე სპექტაკლში ისინი თავიანთი
არსებობას აუცილებლობიდან გამოი-
დინარყოფენ. ჩვენს დღევანდელ ვი-
თარებაშიც ერთი მათგანი სასოგა-
დობის განსაკუთრებული გაკიცების

საგნად იქცა. ყოველდღე უალ უფრო
მეტად მხოლოდუნი ხდებიან ეს საქ-
მოსანი და კეთილსინდისიერების სა-
ხელით ნილაბაფარებული ფარისე-
ვლები, მამულარები, კარიერისტები
თუ ყალბისმეწმელები, მაგრამ ისინი
ასე ადვილად მისაგნები და გამოსა-
ამკარავებელი როდი არიან, როგორც
ეს სპექტაკლიდან იგრძნობა. სცენაზე
საქმიან ვითარებაში კაპიას პირვე-
ლი გამოჩენისთანავე ვგებულობთ,
რომ იგი მამულარა და სულდამაბა-
ნულია, ხოლო იოსები სიკეთისა და ერთ-
ვლეულებს განსახიერებდა. მსახიობ-
ბებს ვ. ოსაძესა და ა. კობალაძეს
აღლარაფერი დარჩენათ, გარდა იმი-
ნა, რომ მკვეთრად გამოხატონ თავი-
დანვე გახსნილი ეს სახეები. ისინი
იმდენად ზედმიწევნითაც აღწევენ
ამას, რომ უნებურად რეზონირულ
„თეატრალიზმ“ უარყოფითსა და
დადებითს ზედმეტად დგლამატოუ-
რი გამოხატვებები აღმოჩნდნენ,
თვით ამ იერსახეების არა ველოდ-
ციურმა განვითარებამ თავიანთივე
უცებუდი სისამარაკით რამდენიმე
ჩრდილიც მიაყენა დამაჯერებლობას,
თუმცა, ვიმეორებთ, რომ მათი არსე-
ბობა სპექტაკლში აუცილებლობიდან
გამომდინარეობს.

მათი ყოფნის აუცილებლობა კიდევ
უფრო საცნაური ხდება, როცა ვითვა-
ლისწინებთ, რომ არა თუ ისინი,
რომლებიც ასე მკაფიო სახეებად
გასდგენენ მთავარი გმირის ცხოვრებას,

არამედ, ერთი შესხედვით, მეორე და
მესამე პლანზე მოქცეული პერსონა-
ჟებიც კი ზედმიწევნით საჭირონი
არიან სცენური მთლიანობისათვის.
სულ ორიოდ სიტყვა აქვთ ბ. გოგი-
ნავას, ვ. კვიციანიშვილს, ვ. თოფურია-
ს — ტყვე ჯარისკაცებს, მაგრამ
რამდენი რამ მოაუღლებოდა რო-
გორც მთავარი გმირის ხასიათს,
ასევე სპექტაკლის მთლიანობას მთ
გარეშე. ეს არც თუ ძნელი შესამჩნე-
ვია, რადგან ისინი დიდი ცხოვრების
რთულ გზაზე გამოვლენულ მეტად
დამახასიათებელ დეტალს წარმოად-
გენდნენ, ურომლისთდაც ბევრს და-
კარგავდა ცოცხალი ადამიანური სამ-
ყაროს მთლიანი მქანისში. ამგვარ
აუცილებელ დეტალებს ქმნიან კ. მა-
ჭავარიანისა და პ. ინჭიკიერავის
გულმართალი ჯარისკაცები ვიცაა
და თეოდოლე. ვ. ფირცხალაიშვილის
მათორი, ნ. წიკლაურის კაპიტანი და
თ. გამყრელიძის თენგიზიც კი, რო-
მელიც რესტორნის სცენაში თავისი
უცებუდი გამოჩენით აშბროვისაციუ-
ლად გადამტყვებული გროტესკული
ტონების მიუხედავად („ჭურჭე შე-
ნი...“) ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვ-
რების ფსიქრეზე მოქცეული ნაძირ-
ლის განსოგადებელი გამოსატყ-
უდება. იგი სწორედ იმ ცუდი აღზრ-
დის სავალალო შედეგია; არასამი-
ელ მომავალი თაობის ერთი ის წარ-
მომადგენელია, რომელიც ჩვენს დღე-
ვანდღეობაში ჯერ კიდევ არც თუ

სცენა სპექტაკლიდან „მოსაპარტლე“.





იშვითად არსებული ლაშქების (მას. გ. ტატიშვილი) მსგავსი ყალბი ინსტიტუტის ადამიანების „აღზრდის“ საკულო შედეგს ვეკადრევენ. უნდა ითქვას, რომ გ. ტატიშვილის მიერ შექმნილი ლაშქის გროტესკული იერსახე უმაღლესად აღემატება სენსუაზი. მის ამ უცაბედ გამოაშკარავებას გაყოლებით უფრო ადვილად ურიგდება მასურებელი, რადგან იგი განეკუთვნება იმ ადამიანების კატეგორიას, რომლებიც ცხოვრებაშიც უმაღლესნი თავიანთ თავს, როგორც „ძლიერი ამა ქვეყნისაა“. და რადგანაც ისინი ასეთები არიან, მიუხედავად „გამოაშკარავებისა“, მაინც ახერხებენ არა თუ საკუთარი არსებობის შენარჩუნებას, არამედ სხვებსაც აქცევენ თავიანთი „ყოვლისმომცლე“ ყალიბი უწყვეტლების ქვეშ. ეს ყალიბი უზგავლენა უნებურად დავით მართაბლის პატიოსან ოჯახშიც შეიჭრა, კარგად აღზრდილ შვილიშვილს — დათოს (პ. მიქაძე) გამოსცა კლანჭები და მრუდვ გაზაზე დააყენა.

მასურებელთა შორის კამათი გაბოივება მართაბლების რძლის აგვანცას (მ. ბიბილოვილი) და ახლო მეგობრის — გაგას (ი. ტრიპოლსკი) სიყვარულის შოტივსა. თვით მსახიობი ი. ტრიპოლსკი აღიარებს, რომ იგი საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში გრძნობს თავს, როცა მისი გმირი აიძულავს დაარღვიოს ქართული ტრადიციები და მეგობრის თვალი შეიხიზულმა, ქვრივად დარჩენილი რძლის სიყვარულის დრამა განიცავოს. ვფიქრობთ, აშკარა ადგურების გამართლება არა აქვს, რადგან წმინდა სიყვარულის შემზღვეველ დრომოჭმულ „დათავს“ სიკეთე არ მოაქვს არცერთი ცივილურული ჩრისთვის. მით უმეტეს, როცა ამის შესანიშნავად გამოხატავს მ. ბიბილოვილის ღრმა ლირიკული გრძნობით გამოთბარი გვანცა, რომლის უღრესად ქალურ და კეთილსინდისიერ ბუნებას აშვავარი კანონიერი სიყვარულის გამოვლინებით ჩრდილი არ ადებდა.

კამათს იწვევს აგრეთვე შვილის ომიდან თვითნებურად დაბრუნების საკმაოდ ძლიერი სცენა; თითქოს შეუსდებელია, რომ მამამ გამოიჩინოს საკუთარი შვილის მიმართ ისეთი დეკლამატი, როგორსაც დავითი იჩენს თავისი ერთადერთი ვაჟის — ცოტნესადმი (ჯ. მონაავა). იმდენად დიდია მისი სიმკაცრე, რომ შვილიშვილის ნახვის ნებასაც კი არ აძლევს „დეურტრიკ“ — გაეს, რათა აშვავრის

სულმდაბალი სახით არ დაიმასოვროს ბავშვმა მამამისი. შთაავრების კვლავ ფორნტე წასვლით გამოიხყიდოს თავისი დანაშაული. შვილი მართლაც ილუპება სამშობლოსადმი კეთილსინდისიერად ვალომნიდო. გასანება, რომ გულრეზი მასურებლისთვის წარმოუდგენელია მამის აშვავარი „ულომბელობა“. ასე არ შეიძლება მიხედოს — ფიქროს იგი. მაგრამ სწამდელიუმი განა ცოტა ყოფილა ასეთი ფაქტი. სამაგალითოდ ი. ტალანის მტკიცე ვადწყვეტილებაც კმარა თვითმხედობა ტყვედ ჩავარდნილი ვაჟის ვაჟიშვილის გამო რომ განაცხადა: „მი ფელდმარშალი არ ვგელი ჯარისკაცი“.

დავითის მეუღლს — ნატოს როლში საინტერესოდ წარმოვივინა დოლო ტიონიამ. იგი ხათვას როლით განმტკიცებულ გამოსახვის რეალისტურ მხერგს არც ამჯერად დღალატობს.

სასოწარკვეთილებაში მყოფი დედის სახე დაგვიხატა ზანდა ოსელიანას მცირე ეპიზოდურ როლი. მეტად თვითმყოფადი და უშუალო მისი მუდარა მისამართის მიმართ, როგორც სიცოცხლე შეუნარჩუნოს შვილს, რომელიც, ომიდან შიგნულში დაბრუნებული, დროზე მეტსა შეჩერდა ოჯახში და ახლა, დეურტრის სამარცხენო სახელით საბრალდებო საკამზე მჯდარი, სასტიკ განაჩენს ელის.

ყველა პერსონაჟი, ყოველი სცენური დეტალი მიმართულია იქითკენ, რომ რაც შეიძლება მრავალმხრივად გამოვლინდეს მთავარი გმირი — კოტე მასარაძის დავით მართაბლი და ეს კომპლექს მიღწეულია სპექტაკლში. ამიტომაც შემოვიჩინებთ იგი.

გარემულად შეიძლება ცოტა უფრო სხვაგვარად გვეყვოდეს წარმოდგენილი ეს სამაგალითი, დადებითი პიროვნება თავისი ჭირ-ვარამბადატანილი მონუმენტური ძლიერებითა და გმირული პათოსით, მაგრამ იმ სახით, როგორცადაც მას წარმოვივინებენ მსახიობი, ოდნავადაც არ გვეჭვწვებს იმაში, რომ ცხოვრებისაგან დაღდასმულ ამ შესახედავად დაწყნარებული სახის ადამიანს დიდი გამოვლინებით განმტკიცებული კეთილშობილური ბუნება აქვს. დრამატურგის შთანაფიქრის კვალდაკვალ, მსახარბის დავითიც არ არის დადებითი გმირის იმ ყალიბ რევერანტს ჩამოსხმული პიროვნება, რომლის მიხედვითაც ყოველად დაუშვებელია ხოლმე რაიმე ადამიანური სისუსტის გამოვლინება. მთლიანობაში იგი სამა-

გალითა თავისი დადებითი, თვისებებით — პატიოსნების, სიმართლის, მაღალი მოქალაქობრივი გრძნობით, დიდი მასულმწივლოვი პრინციპებით, ოჯახისადმი სიყვარულით და სხვა. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ იგი ასეთია (რაც მთავარია, ადამიანურია), შეედომებისაგანაც არ არის დაზღვეული. საქმე ისაა, რომ თავის ეს შეედომებები იმათია, რომლის დავითსაცადაც ადვილად შესძლებს დავითისნაირი ადამიანი. მასურებლისთვის სამაგალითი ხდება დაშლვის ეს უნარცა და ისიც, თუ რაღვენა სიფრთხილ მართლაც ყოველ პატიოსან ადამიანს, რათა ჩვეულებრივი ადამიანური ნდობის საფუძველზე არ დაუშვას შეედომები, რომლის განმსწორებასაც ვეღარ შესძლებს. დავითი მიენდო თავის მოტიქნულ მოადგელს და ხელს მოაწერა მიელორიც ყალბ დოკუმენტებზე; დავითი გაიტაცა თავისმა დიდმა საქმიანობამ და ოჯახისადმი ოდნავი ყურადღების მიუღებამ შეიღვიძლი სწორ გზას აიკლებს, მაგრამ დავითი პრინციპული და სამართლიანი განმსაკულია არა მარტო სხვების მიმართ, არამედ საკუთარი თავის მიმართაც და ამიტომ მასურებელსაც სჯერა, რომ მთლიანობაში იგი სამაგალითა თავისი ძლიერი ბუნებით. მსახიობი დეტალების სისუსტე (ინტონაცია, მიმართა, გამომეტყველება) ქმნის გმირის სულიერ პორტრეტს. საკმარისი იქნებოდა ამ დეტალების მთლიანობის ოდნავი დარღვევაც, რომ მასურებელს თვალში მიხვედროდა „გრძობების გათამაშების“ სიყალბე, მაგრამ მსახიობის ზომიერი ტაქტიც იმაში გამოიხატება, რომ იგი ყოველთვის ინარჩუნებს მთლიანობას.

კ. მახარაძე სპექტაკლის მეორე ნაწილში კიდევ უფრო მეკვირვად ვადმოგვცემს შთაგან მიღვევარებას. გარცხნულად მწყიდი და რამდენიმე ელვებურად კი იგი გამსჭვალულია საკუთარი თავისადმი ბუნებრივი ტყვევით. საფილმო სცენაში კი ვადლახავს ამ ეჭველს.

მოქალაქობრივი პასუხისმგებლობის ომი გრძნობა და მცხენებარება, რომელსაც კოტე მასარაძის დავითი აწვლავს კეთილშობილური იდეებისათვის, მაღალი მორალური პრინციპების განმტკიცებისთვის ბრძოლაში მასურებელს შთაავრებებს ყოველივე საუკეთესოს. ამაში მსახიობიანა და მთელი სპექტაკლის დიდი დემონრდობითი მნიშვნელობა და შთანაგონებელი ძალაც.

რ ე ბ ი თეატრალური სამყაროს პირველი სამოცრაბეა



გ. მარჯანიშვილი 1923 წ.

ვანტანე ტაბლიაშვილი

მისამართის თეატრებს 1935 წლიდან გავეცანი. მაშინ ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი და სისტემატურად ვესწრებოდი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული თეატრების დადგმებს. ზოგი რამ არ მესმოდა, ზოგი მომწონდა, ზოგიც მანკიერებდა თეატრალურ სამყაროს რთული „ანატომიით“ — რეჟისორული აზროვნების დემონსტრაციით... მოსკოვისა და ლენინგრადის თეატრების ყოველ სიახლეს ახლაც ინტერესით ვადევნებდი თვალს, ასეთივე ინტერესით ვეყნობოდი ვასტროლებზე ჩამოსული უცხოეთის თეატრების დადგმებს, და სულ უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ამ დიდი დროის მონაკვეთზე მიღებულ ჩემს შთაბეჭდილებებში განსაკუთრებული ადგილი ეკავა 1946


წელს სამხატვრო თეატრში ნემიროვიჩ-დანიჩენკოს მიერ დადგმულ ჩესოვის პიესას „სამი და“. სპექტაკლს არ განუვციფერებიათ რეჟისორული აზროვნების დემონსტრაციით, მე განმაცვიფრა რუსული მხატვრული აზროვნების სიღრმე და ძლიერებამ, ჩეხოვის გმირთა სულიერი სამყაროს სიღრმემ და სინატიფემ. ამ სპექტაკლმა გამიფაჩიზა და ამიმაღლა ადამიანური სიცოცხლის მძლავრი სიყვარული. ასეთი სიხარული არ მიმიღია რუსეთში ნანახი არც ერთი სპექტაკლიდან. ნემიროვიჩ-დანიჩენკომ, თბილისში ყოფნის დროს, შალვა ღამბაშიძესთან და ჩემთან კერძო საუბარში, „სამ დას“ უწოდა სამხატვრო თეატრის ჭერი. დიახ, ეს იყო სტანისლავსკისა და ნემიროვიჩის შემოქმედების გვირგვინი. ამ სპექტაკლით მეორედ

ვიწამე თეატრი, და იგი ჩემს მესხიერებაში დარჩა თეატრალური სამყაროს მეორე საოცრებად.

პირველი საოცრება...

მე ყვარელში დავიბადე და ბავშვობაც იქ გავატარე. ზაფხულის ერთ საღამოს ჩვენი ბინის აივანზე ვურნალ „დროშას“ ფურცლისას ჩემი ყურადღება მიიპყრო მხატვარ ირაკლი გამრეკელის რეპროდუქციამ. ეს იყო ი. გუდვეანიშვილის „სინათლის“ ესკიზი: რამდენიმე საფეხურიანი ფართო კიბე თავდებოდა სხივებგატყორცნილი დიდი შხით. რეპროდუქციას ქვეშ ეწერა: დადგმა კოტე მარჯანიშვილისა. ესკიზი მომეწონა და დიდხანს ვაკვირდებოდი. მანამდე დახედავნი გამტაცების საგანს და მიიხარა:

— კოტე მარჯანიშვილი დიდი რე-



სცენა სპექტაკლიდან „ურჩიელ აკოსტა“.
ივლითი — ვ. ანჯაფარიძე, მანასე —
გ. ტატიშვილი.

ქისორია, მსოფლიო იცნობს; აქ არის დაბადებული, ყვარელში, ჩვენებურია.

იმ დღიდან ჩემს ბავშვურ მეხსიერებაში მარჯანიშვილი დიდ მწვედ აღიბეჭდა.

სულ მალე კოტე მარჯანიშვილი სტუმრად ეწვიო ყვარელს. დილიდან ელოდა მთელი ყვარელი. შუადღისას გამოჩნდა თელავიდან მომავალი ეტლებების წყება. კოტე მოვიდა რუსთაველის მსახიობთა დიდი კოლექტივის თანხლებით. ყველანი გაემართნენ კოტეს სახლისაკენ. კოტემ პირველად დედის ოთახის კარი შეაღო (დამსწრენი ამბობდნენ, მუხლი მოიყარაო), მერე მოინახულა სხვა ოთახე-

ბი, მარანი, ეზო... დიდი ნაღიმი გაიმართა კაკლის ზეებქვეშ, ილიას ეზოში. ისმოდა კოტეს სადიდებელი სადღეგრძელოები და სიმღერები. საღამოს კი თელავში წავიდნენ.

გულდაწყვეტილი დაგრჩი, მეგონა „სინათლეს“ წარმოადგენდნენ ჩვენი თეატრის პაწაწინტელა სცენაზე და ენახავდი დიდ მზეს, მაგრამ ჩემს თანატოლებთან ერთად ვიდექი შორს და მარჯანიშვილი კარგად ვერც ვენახე.

გავიდა დრო, ჩვენი ოჯახი თბილისში გადავიდა. მამაჩემი სანდრო ახმეტელის სკოლის აშხანაგი იყო. მთელი ოჯახი უფასოდ ვესწრებოდი თრუსთაველის თეატრის სპექტაკლებს. ხშირად თვითონ ახმეტელი მიგვაცილებდა ხოლმე ჩვენთვის განკუთვნილ ადგილებამდე. შობაგვდილებას ასდენდა მისი ძლიერი ფიგურა, მყარი სიარული, ფეხსაცმელების ჭრილობეკი თითქოს ხაზს უსვამდა მის ენერგიულ სიარულს. მანცვიფრებდა სანდროს დადგმების სირთულე და მასშტაბურობა. დამამხსოვრდა კირიშინის „ქართა ქალაქის“ შავი ლაქით დაფარული უზარმაზარი დეკორაცია,



სცენა სპექტაკლიდან „ურჩიელ აკოსტა“;
მარცხნიდან — მანასე — გ. ტატიშვილი,
ივლითი — ვ. ანჯაფარიძე, ურიელი —
ბ. კობახიძე, დე სილვა — შ. ლამაშიძე.

აკაკი ვასაძის სიმღერა-ტირილი და კომისართა გაყვანა დასახვრეტად. ასევე დამამახსოვრდა ბელოცერკოვსკის „საჭე მარცხნივ“ თავისი დიდი გემით, მოძრავი ტალღებით და აკაკი ხორავას ფოლადისებური მულღავურით. მერე — „ზაგმუკი“, „ლიანდაგი გუგუნებს“, „ანზორ“. მოუთქვნილად ველოდი ყოველი ახალი სპექტაკლის დადგმას, რათა მემილა სახტად მოძრავი მსახიობები ცამდე ატყორცნილ დეკორაციებში.

გავიდა დრო. უკვე 15 წლისა ვარ. ქუთაისის თეატრის საგასტროლო აფიშებმა აახშურა თბილისის ცხოვრება. კოტე მარჯანიშვილის სახელის გაგებამ კვლავ გაადვილა ჩემში ყვარლის შთაბეჭდილება...

პირველად ენახე ტოლუერის „პოპულა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ გამოცა დეკორაციულმა სიძუნწემ, განათების ეფექტმა, უშანგი ჩხეიძის თამაშმა და მაყურებელთა ოვაციებმა. შემდეგ ენახე კარლო კალაძის „როგორ“. კვლავ გამოცა უდეკორაციოობამ და განათებით მიღწეულმა დიდმა ეფექტმა, მაგრამ, ჯერ კიდევ ვერ ენახე ის „მზე“, ყვარულში ბავშვობისას რომ გულს ჩამესახა...

ბოლოს ენახე გუცკოვის „ურიელ აკოსტა!“ ენახე ის „დიდი მზე“, ბავშვობიდან რომ ველოდი, „მზე“, რომელმაც დაუკარგა ზღვარი სცენის ზღუდეებს და დამანახვა ტიტანურ ადამიანთა უკიდვარო სამყარო, სამყარო ადამიანის მებრძოლი სულის ვულკანური ძლიერებისა. პირველად „ურიელით“ ვიწამე თეატრი. ამ დღიდან აღარ შემეძლო თეატრის გარეშე ფიქრი, ცხოვრება. ეს სპექტაკლი ჩემს მესხიერებაში დარჩა თეატრალური სამყაროს პირველ საოცრებად, სადაც მსახიობის მეტყველებისა და პლასტიკის უმაღლესი ოსტატობას გაუტოლდა მუსიკა, დეკორაცია და შუქი, სადაც აზრი და ფორმა გამოვლინდა ისეთსავე აუცილებელ მთლიანობაში, ვით სული და სხეული ადამიანისა.

მებრძოლი სიცოცხლის სილამაზისა და უკვდავების მაწველებელი ეს უღრესად თვითმყოფი, სკულპტურულად



სცენა აღდგენილი სპექტაკლიდან „ურიელ აკოსტა“. ივლითი — ს. კიპარელი, ურიელი — კ. მახარაძე.

გამოძერწილი სპექტაკლი, უმნიშვნელოვანესი თავია მსოფლიო რეჟისორული აზროვნებისა და ღირსია პპოვოს ისეთივე ღირსეული კომენტატორი, როგორიც ბეთოოვენის მეცხრე სიმფონიამ პპოვა ვაგნერის სახით.

გადის დრო, წლები ემატება ჩემს რეჟისორულ მოღვაწეობას, ყოველ ახალ წელს მოაქვს ახალი ძიების სურვილი, გუმინდელი დღით უკმაყოფილო ვეძებ ახალ შემოქმედებით „ხვალეს“: და რთვა გავხედავ ნანახი სპექტაკლების დიდ საკრებულოს, ჩემს თვალში ორი სპექტაკლი აღმართულა ცათამბჯენ შუქურებად, რომელთა ბრწყინვალეობა არასოდეს არ გაფრმავრთალებდა კლასიკოს მხატვართა, მოქანდაკეთა, არქიტექტორთა

და კომპოზიტორთა უკვდავი შედეგებით. ეს ორი სპექტაკლია „ურიელ აკოსტა“ და „სამი და“.

ამასთან დაკავშირებით მინდა შევხებო მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში აღდგენილ „ურიელ აკოსტას“.

ნახევრასუკუნოვანი სპექტაკლის ხელახალი ამტყვევლება მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში. აღდგენის მთავარ სიძნელეს წარმოადგენდა მსახიობთა სრულიად ახალი შემადგენლობის მომზადება. ეს სიძნელე შესანიშნავად გადალახა სპექტაკლის აღმდგენელმა, ივლითის პირველმა ბრწყინვალე შემსრულებელმა ვერიკო ანჯაფარიძემ. სპექტაკლის სხვა მონაწილეებთან

ერთად ქების ღირსნი არიან ს. ჭიაურელი, კ. მახარაძე, ტ. საყვარელიძე და ზ. ლაფერაძე.

ჩვენ ვუერთდებით მაღლიერი მაყურებლის აღფრთოვანებას იმ რწმენით, რომ მსახიობები ამ აღფრთოვანებით მიიღებენ სტიმულს, მონაპოვარის შემდგომი შემოქმედებითი დახვეწისა და სრულყოფისათვის. გვჯერა, რომ კოტე მახარაძე ჭარბ ცრემლიანობას მოაცილებს დრამატული სიმძაფრის შესანიშნავ პლასტიკეს; სიფაქო ჭიაურელი მებრძოლი სუ-

ლის სკულპტურულად დახვეწილ ქმნილებას დამშვენებს ფილოსოფოსის მოწაფის შინაგანი სიღინჯით; ტარიელ საყვარელიძე თავისი იმპოზანტური სანტოსის გრაფიკულ ხეშემუს შვარბილებს ფერწერული მომხიბველობით, ზურაბ ლაფერაძე — ხანდაზმული მოაზროვნისათვის დამახასიათებელ მეტ სოლიდურობას მისცევს სიტყვას.

დეკორაცია მოითხოვს მცირე კორექტურას: სიღვას სამუშაო ოთახს, მარცხნივ, აკლია ორი მეტრი სიმაღლისა

სქელი კედელი — სტილურებულადიდი, რუხი სანთლებით. უამისოდ დეკორაცია „შუგერულია“. ივლითის ბაღში ამჟამად არსებული კონსტრუქცია უნდა იდგეს წირილ დაზგაზე და ხის ტანი მთავრდებოდეს მქრტლად მოხატული ფოთლებიანი შტოს წირილი დისკოთი, ყოველივე ეს ქნნდა ივლითის ბაღის ამაღლებული, მშური სამყარის შთაბეჭდილებას. მესამე მოქმედებაში სინაგოგის კედლები დაბალია და სანთლების კვარცხლბეკიც პატარა. ამახ მნიშვნელობა აქვს ფანატიზმის შვაგ „მამათა“ სამყაროსთვის.

ორ ადგილზე საჭიროა შესწორედეს განათებაც. მეორე მოქმედებაში, დე-სანტოსის წყვილისას, სივრცის ინტენსიური წითელი შუქით აელგარებამ უნდა შექმნას სულის შემსუთავი შთაბეჭდილება; ხოლო გამარჯვებული ივლითის გაღიმებისას, წითელი შუქის განდევნა მზის სხივებით უნდა აამალოს პიესის გმირთა მებრძოლი სული. ეს იყო დადგენილი მარჯანიშვილის მიერ და ასევე სრულდებოდა დღევანდლამდე. ამჟამად სცენა ინტენსიურად არ წითლდება, პირიქით, ურიელი და ივლითი მუდმივად იმყოფებიან თეთრ შუქში. თუ ეს შეგნებულად არის გაკეთებული, საჭიროა კი ამგვარი სიახლე? ეს ხომ აღარბიებს განწყობილებას?

მესამე მოქმედებაში, საგარძელთან მარტოდ დარჩენილი ივლითი უყვირის სინაგოგაში გაქვეულ ურიელს — დაბრუნდიო. უკანასკნელი სიტყვები „გვიანდა არის, იგი შვეიდა სინაგოგაში“ ეპიზოდის კულმინაციურა წერტილია. აქ უკვე უნდა გამოითიშოს შუქი. ასე ჭკონდა მარჯანიშვილს და ასე კეთდებოდა ყოველ სექტაკლში. ამჟამად გულწასულ ივლითს თეთრი სხივი ეცემა შემდეგი სურათის დაწყებამდე. ეს კი საჭირო არ არის.

ფიქრობთ, ამ მცირე შენიშვნებს გაიზარებს რეჟისურა და თეატრის ხელმძღვანელობა, რითაც აღდგენილ შედევრს კიდევ უფრო მეტი სრულყოფილება მიენიჭება.


კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობა.



ს ე ჯ ა მ ო ს ზ ჯ ა ჳ ა რ ი

გურამ პაბიაშვილი.

Vivo



Musical notation for the first system, left page, bass clef. It features a piano introduction with a melody in the right hand and a rhythmic accompaniment in the left hand. A dynamic marking of *mf* is present.



Musical notation for the first system, right page, bass clef. It continues the piano introduction with similar rhythmic patterns.



Musical notation for the second system, left page, bass clef. The piano introduction continues with a steady accompaniment.



Musical notation for the second system, right page, bass clef. It shows the continuation of the piano introduction.



Musical notation for the third system, left page, bass clef. The piano introduction continues with a steady accompaniment.



Musical notation for the third system, right page, bass clef. It shows the continuation of the piano introduction.



Musical notation for the fourth system, left page, bass clef. The piano introduction continues with a steady accompaniment.



Musical notation for the fourth system, right page, bass clef. It shows the continuation of the piano introduction.



Musical notation for the fifth system, left page, bass clef. The piano introduction continues with a steady accompaniment.



Musical notation for the fifth system, right page, bass clef. It shows the continuation of the piano introduction.



Musical notation for the sixth system, left page, bass clef. The piano introduction continues with a steady accompaniment.



Musical notation for the sixth system, right page, bass clef. It shows the continuation of the piano introduction.




Musical notation for the seventh system, left page, bass clef. The piano introduction continues with a steady accompaniment.



Musical notation for the seventh system, right page, bass clef. It shows the continuation of the piano introduction.



Musical notation for the eighth system, left page, bass clef. The piano introduction continues with a steady accompaniment.



Musical notation for the eighth system, right page, bass clef. It shows the continuation of the piano introduction.

The image contains ten staves of musical notation for piano accompaniment. The notation includes treble and bass clefs, time signatures, and various rhythmic values. Dynamics such as 'mf' and 'f' are indicated throughout the score.

ფირსმანის სახელი გაცდა ჩვენი სამშობლოს საზღვრებს, იგი ვირობის ქვეყნებშიც აღიარეს დიდ ხელოვნად. მის ნამუშევრებს ლუერის მუხუშემაც გაულო კარები და გამოფენა საფრანგეთის მინისტრმა გასსხა, ლუერს კი დაწავდა ერთუნელი ვეარდია ბიურინეს.

ნიკო ფირსმანშვილს, ამ თვითნაწევალ ხელოვანს, სიცოცხლეში ბევრი არ აფასებდა და დასცილდა კიდევ. იგი მოკლული იყო აღამანურ ცხოვრებას და ნახევრად მშვირი დადიოდა თბილისში. მხატვარი უპატრონოდ გარდაიცვალა, პეტრე-პავლეს სასაფლაოს ღირსიც ვერ გახდა და მისი კედლის გადაღმა დაიმარხა უპატრონოთა სასაფლაოზე. უფრო მეტიც, შემდგომში უპატრონოთა სასაფლაო ქუჩად იქცა და ამდენად, დაიკარგა მისი საფლავი. ამიტომ დიდი დამოღობის ღირსია აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი, რომელმაც დაკარგული ფირსმანის ხელმეორედ გააფიცვლა მისი სურათების შემონახვითა და გამოფენის მოწყობით.

როცა ფირსმანის ნამუშევართა გამოფენას ვთვალთ იგრებდი საქართველოს ხელოვნების მუხუშეში, სადაც ასევე მეტი სურათი იყო გამოფენილი, ჩემი ყურადღება მიიპყრო ნიკოლას საყვარელმა ფერებმა. მათში სჭარბობს მუქი შავი, მუქი მწვანე და მუქი ლურჯი ფერები. სწორედ ამან მომაგონა რიყეში ცნობილი საღებავებით მოგაჭრე პოპოვის ნორის „პაჭუა მიმა“ ნათქვამი, რომ ნიკალა „სამიკიტნებში და სასადილოებში მუშაობისას სამზარეულოს ბუხრიდან ჭვარტლს ფხეკავს და საღებავებში ხმარობსო“. ზოგიერთს ეს ნიკალას ერთ-ერთ ხერხად მიაჩნდა, რათა საღებავებში ფული არ დახარჯოდა და იაფად გამოსულიყო (იხ. ჟურნალი „მნათობი“, 1967 წ. № 9, „მოგონებანი ფირსმანზე“). ეს ის „პაჭუა მიმა“ იყო, რომელსაც ბედმა არგუნა უპატრონოდ გარდაცვლილი ფირსმანის ცხედარი საკუთარი ფორნით მიეფენებინა სასაფლაოზე და დაესაფლავებინა 1918 წელს.

ფირსმანის მამაჩემის სახელსნოში ყოფნისას (მამაჩემი — იოსები მექუღე იყო) ხშირად აცამობობდა მის მიერ დახატული სურათების ისტორიას. აი ერთი მისი ნაამბობი, რომელიც გამასხენა სურათმა „ქეიფი არღნით“. რიყეში, ზაქარია ჩიქოვანის სახლის სარდაფში (ახლანდელი კოსტა ხეთაგუროვის ქუჩა, 93), მოთავსებული იყო სასადილო, რომელსაც ერქვა „ბოლო კეილია“. იგი ორ ძმას ძიუუშვილებს ეკუთვნოდათ. მათ სასადილოში ჩასასვლელი კიბის თავზე ფირსმანს დახატვისეს კახელი გლეხის გზო, რომლის შუა ადგილას დგას დიდულგამეზიანი, ჩოხა-ახალუხსა და ქალამებში გამოწყობილი ოჯახის უფროსი. მასპინძელს ერთ ხელში ლამაზი თუნგი უჭირავს, ხოლო მეორეში — მოზრდილი ყანწი. ეს სურათი ისე იყო დახატული, თითქოს მასპინძელს სტუმრები უახლოვდებიან და იგი მზადაა მათ ღვინით სავსე ყანწი მიაწოდოს. ფირსმანმა ნახატს წააწერა: „ბოლო კეილია, სასადილო“. სურათი ძალიან ლამაზი გამოვიდა, გზოს ბოლოში დახატული იყო კარგად მოვლილი ვეზახი, ხოლო შორს, ლაქვარდ ცაზე — კავკასიონის პეიზაჟი. „მასპინძლის“ პროტოტიპად ფირსმანმა გამოიყენა იმევე სახლებში არსებული ლუდხანის პატრონი, გელოციხელი სიმონ აბელის ძე თარხანოვი, რომელიც მამაჩემთან მეგობრობდა და ორივენი ამ სასადილოს ხშირი სტუმრები იყვნენ. ფირსმანის „მასპინძელი“ ძლიერ ჰეავდა „სიმონ აბელიჩის“, როგორც მას ხუმრობით მიმართავდნენ მეგობრები. ყველაზე უწინ ეს მსგავსება რიყეში

მობონებები ფიროსმანზე

ვასილ ჩაჩანიძე

ცნობილმა „არღანჩიკმა“ და თარფის უბაღლო ოსტატმა, კინტო „გიჟუამ“ შენიშნა. გიჟუა თბილისში ცნობილი იყო როგორც ენამახვილი, შეუღარაფელი ხუმარა. თბილისის რომელიმე უბანში იშვიათად იყო ისეთი ქორწილი, ნიშნობა, ნათლობა ან ქეიფი, რომ გიჟუას არ მიეერთებოდა. თარფი და მიწოდებული ღვინის დაღვინის განსაკუთრებული ინტონაციით არ ეთქვა სადღვერძელო, რომელსაც იქ მყოფთა თავშეუკავებელი სიცილი არ გამოეწვია. ბევრი შემთხვევა მასსოფს, როდესაც მეტი სიცილისაგან გვერდებინაკაჩნი მგებორები გიჟუას ეხვეწებოდნენ ან გაჩუმივებუდიყო, ან გასცლოდა იქსურობას. ფიროსმანმა მუშაობა რომ დაამთავრა შემოსხენებულ სურათზე, „გიჟუა“ არ მოეშვა და სთხოვა ისიც დაეხატა თავისი არღნით.

ფიროსმანმა ამ სარდაფის კედლებზე რამდენიმე სხვა სურათიც დახატა, რაზედაც თითქმის ორი კვირის მანძილზე მუშაობდა. საღამოთი ნიკალა სასადლოდან ძალზე მთვარლი ამოდიოდა. ამ გამბეულმა სიმთვარელემ მთლად მოთენთა და დაღალა მხატვარი. მამარქმი და სასტუმრო „ვლადიკავკაზის“ მოიჯარადრე ივანე აბაივი ბეგრს სთხოვდნენ დამე მის სასტუმროში დაიძინა უფასოდ, მაგრამ ფიროსმანი სასტუკო უარს აცხადებდა და დასაძინებლად მიდიოდა „ჩაშკას ტრასტინის“ ეზოში მოხვედრის, მიიუღებისა და ფშაველების ურჩების გასაჩერებელ ბაკთან არსებულ დასაძინებელ ოთახებში, საიდანაც დასვენების მაგიერ უფრო მოქანცული ბრუნდებოდა სამუშაოზე.

„ჩაშკას ტრასტინი“ (ახლანდელი იოანე ჰეტრიფის მოედანზე) იმ დროს ყველაზე იაფი „სასტუმრო“ იყო (დამეში მაურს ახდვიენებდნენ თითო სულს). „სასტუმროს“ ლოჯინები არ ჰქონდა. მეურბე გლეხები, რომლებსაც ურბები, ფორნები და პირუტყვი „სასტუმრო“ ოთახების გვეშ მოწყობილ თავლაში ჰყავდათ დამინავებულო, ბაღლინჯაოებით გაკაბებულ ფიცრის ნარებზე იძინებდნენ და გვეშაგებისა და საბნის ნაცვლად თავიანთ ტანსაცმელს იყენებდნენ.

ფიროსმანი ძალიან ხათრანი და მორიდებული ადამიანი იყო. იგი გაურბოდა მგებორისაგან უბრალო პატრივისცემასაც, რადგან ამას მის შეწუხებდა თვლიდა.

დაღლილ-დაქანცულ მხატვარს არ ასვენებდა „გიჟუა“ და ათასგვარი ქარაგმით მიმართავდა, რომ მისი „ფართრეით“ დაეხატა. ბოლოს ნიკალამ აუსრულა თხოვნა, თუმცა დახატული „არღანჩიკი“ მიხედვით არ ჰგავდა გიჟუას. გახარებულმა გიჟუამ ფიროსმანი ორი დღე აქეიფა სასადლოში თავისი არღნით. იგი მალიმალ უკრავდა ძველი კინტოების სიმღერას „სონა მიდის ბაქოშია“, რომელიც ნიკალას მოსწონდა. გიჟუამ იცოდა ეს ამბავი და თუ ხანავდა ან გაიგებდა, რომ ფიროსმანი ჩვენს სახელსონოში იმყოფებოდა, დაიწყებდა ამ სიმღერის დაკვრას, როლის ხმაც მშვენივრად აღწევდა ჩვენამდე.

ბევრჯერ შემიმჩნევია როგორ სიამოვნებას ჰგვირდა ნიკალას არღნის ეს ჰანგი. სახე უღიმოდა და იტყუა: ეს გიჟუა საიდან გებულობს, რომ მე აქა ვარო. ფიროსმანს, მართალია, არა ჰქონდა კლასიკური განათლება, მაგრამ ძალიან იყო სწავლას მოწყურებული, უყვარდა წიგნისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვა. იგი უგაზეთოდ არასოდეს მინახავს ჩვენს სახელსონოში. ნიკალა კარგი მოსაუბრე იყო და მამარქმი უყვიბოდა გაზეთში წაკითხულ ამბებს, საუბარში ურთავდა „ფეხვისტყაყისის“ აფორიზმებს.

ყველამ ვიცოდით, რომ ნიკალა თავისი ცოდნით გაცილებით მაღლა იდგა მაშინდელ მიკიტენებზე, სირაჯებსა და ტრასტინჩიკებზე, რომელთა უმრავლესობა უყინური და განუვითარებელი იყო. მაგრამ უმეტესად სწორედ ეს ხალხი უკვეთდა ნიკალას სურათებს.

ნიკალას ბევრჯერ უთქვამს, რომ მათ უმეტესობას მხატვრობა მხოლოდ მოგების ერთ-ერთ ხელისშემწყობ პირობად მიაჩნდა. შეგვიკეთა უმრავლესობას არ ესმოდა სურათის არსი, მნიშვნელობა და ამიტომ ფიროსმანს ისე დაუწყებდნენ ლაპარაკს, როგორც ბოლოვის ან კიტრის გაყიდვებს: „ნიკალ! შენ როგორც იცი, ერთი კარგი რამე დამიხატე, შენებურად, მორიგაითანი რამე იყოს, რომ მე შენსი გაგებრდეს და კარგ გუნებაზე დადგეს და გემრიელ ქეიფობის სასაითზე მოვიდეს“. მაგრამ იშვიათად თუ რომელიმე შეგვევითი ეტყუადა, თუ რა უნდა ყოფილიყო ეს კარგი რამე. სურათის სიუჟეტი თვითონ ნიკალას უნდა



თბილისი, რიყე, ხეთავერთვის ქ. 93 (ყოფილი 19 თებერვლის ქუჩა). ამ სახლის სარდაფის კედლებზე რამდენიმე ნამუშევარი შექმნა ფიროსმანმა.

შეიქმნა, მაგრამ იმ დროს ნიკალა არ იყო მთლად თავისუფალი. მას უნდა გაეთვალისწინებინა სამიქიტნოს ადგილმდებარეობა, მისი მუშტრის ხასიათი, ზენიჭეულები, მიქიტნის გემოვნება. მათში კი ნიკალას ვერაინი სჯობნიდა. იგი კარგად იცნობდა რიყის, სირაჯხანის, ავლაბრის, ორთაჭალის სამიქიტნოებს.

ქალის კულტს ფიროსმანმა რამდენიმე ნაწარმოები უძღვრა, მათ შორის „ქართველი ქალი“. ასეთი სურათები მაშინ ძალიან მოდაში იყო, მეტადრე ორთაჭალისა და ვერის ბალებს „ნომრიან“ სამიქიტნოებში. იგი როგორც სამიქიტნოს პატრონის, ასევე მისი „მუდმივი მრევლის“

გემოვნებას აკმაყოფილებდა. აი ეს სურათები: „ქართველი ქალი“, „ქალი ყვავილით და ქოლგით“, „ოროჭალის ტურფა“, „ქალი ბავშვით“, „გოგონა“, „ქეტრისა მარგარიტა“, „ორთაჭალის ტურფა მართით“, „ლურჯკაბიანი გოგონა“, „ძიძა“, მათი მხატვარი — „სიყვარულში გაკოტრებულ“ ფიროსმანი არც ფიქრობდა ეპოვა ცხოვრების სამუდამო მეგობარი და ზედსაგან განაწყენებულმა სიცოცხლე მწირივით მარტოობაში გაატარა. ბოლო წლებში მთლად ჩაითრია ცხოვრების უკუღმართმა მორევმა სრულიად არ ფიქრობდა თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და ნაცნობ-მეგობრების მიერ შეთავაზებულ დახმარებაზეც მტკიცე უარს ამბობდა. ხოლო როდესაც დათვრებდა, სამიქიტნოს თუნუქადაკრულ მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი ღლინბება და თავის მეორე საყვარელ სიმღერას, რომელსაც სალში „დამწვართა სიმღერას“ უწოდებდა:

„არ ვიციოდ
სიყვარულის ძალა მე.
გადვიად
თავზე ხათაბლა მე,
ტურფამ დამწვა,
ტურფამ დამაწელა მე“.

ფიროსმანის შემოქმედებაში იგრძნობოდა შვლის და ირმის გამოსატყულებათა სიმრავლე. ამან ბევრი რამ მომაგონა. ძველ თბილისში ძალიან უყვარდათ შვლისა და ირმის გამოსატყულება, რომელიც პატრონების, ალაღმართლობის, სიღამაზის ემბლემა იყო. ბევრ ხელოსანს უსტაბაში ხელმოწერილი ატესტატის გვერდით შვლის ან ირმის სურათი ჰქონდა გაკრული სახელოსნოში, სამიქიტნოებში ხომ თითქმის სავადლებული იყო ასეთი სურათის დახლის თავზე გამოკიდვა. ამ თემაზე მხატვარმა შექმნა სურათები: „ირემი“, „შვლის ნუკრი“, „შვლის ნუკრი წყალს სვამს“, „შვილი“. აი კიდევ „ირემი“, „ირემი ტყეში“, „ირემი წყაროსთან“, „ორი ირემი“ და სხვა. მთ გამახსენეს ვაჟა-ფშაველასა და ფიროსმანის საუბარი 1914 წლის გაზაფხულზე. ეს იყო თბილისში, ყოფილი 19 თებერვლის ქუჩაზე, № 91-ში (ამჟამად კოსტა ხეთავერთვის ქუჩა), არსებულ „ეკლადიკავკასის“ მთიჯარადრე ივანე აბავეის სახლში.

ვაჟა და ივანე ძველი მეგობრები იყვნენ და ძმანადფიცებად თივლებოდნენ. ვაჟა ზშირად მოდიოდა სტუმართმოყვარე ივანეს ოჯახში და ღამესაც იქ ათევდა. ივანე



თბილისი, ყოფილი დვორიანსკაია, ამჟამად მთავრის ქუჩა. მარჯვენა კუთხის სახლში მოთავსებულ სააველაიკო უბანში მოიყენეს დაბატონებული ნიკალა.

თბილისი, პეტრიწონის მოედანი რიყეში,
სახლი, სადაც ლამეს ათევდა ფიროსმანი.



ვაჟს პატრისაცემად აუცილებლად ნადიმს მართავდა, რომელზედაც თავის ახლობლებსა და მეგობრებს იწვევდა (იხ. ჟ. „მნათობი“, № 9. 1967 წ.). ერთ-ერთ ნადიმს მეც ღაფისწარი მამასთან და ძმებთან ერთად. აქ გაიყენა ერთმანეთი ფიროსმანმა და ვაჟამ. ფიროსმანი თურმე იცნობდა ვაჟს ნაწარმოებებს და სურვილი აღძვრია დაეხატა სურათი „შელის ნუკრის ნაამბობის“ თემაზე. ბოლოს, მიეცა კიდევ საშუალება სურვილის გახსორციელებას. რიყეში, ყოფილი მირზოევის (შემდგომში ბახჩიევის) ქარავალში ორ ძმას — მიხო და იესე ვარსიმოევის (ვარსიმოევილებს) გახსნილი ჰქონდათ „ანაგად“ წოდებული სამიკიტნი. მიხო სახელგანთქმული და გავლენიანი კაცი იყო. იგი თბილისის მიკიტნების უსტაბაშად ითვლებოდა და ხშირად ეხმარებოდა ფიროსმანს მატერიალურად. მიხოს სამიკიტნში მოწყობილი ჰქონდა სამწარეულო, რომლის ორთქლისა და ბოლისაგან კედლები ხშირად იმურებოდა და 3—4 წელიწადში ერთხელ არემონტებდა, ერთ-ერთი ასეთი რემონტის დროს მან მოინდომა დახლის მოპირდაპირე კედელზე „კარგი, მარიფათიანი“ რამის დახატვა. მიხომ გვთხოვა, როგორც კი გამოინდება ნიკალა, მასინათვე შეგვიტყობინებინა. რამდენიმე დღის შემდეგ ფიროსმანმა მიხოს ღუქანში დაიწყო თავისი ჩანაფიქრის გახსორციელება: დახატა ტყე, წყარო, მთები. მიხოს მოსწონდა ეს ნახატები და ნამუშევარს უკებდა და ნიკალას, მაგრამ შემდეგ, როდესაც ნიკალა ყელგამოჭრილი შელის სისხლის ხატვას შეუდგა, მიკიტანს ასრის შეეცვალა — მიფარლამ მუშტარამ სისხლი რომ ნახოს, ვაითუ სასიათი გაუფუჭდეს, ჩხუბის გუნებაზე დადგეს და სისხლი დაღვაროსო. მან ფიროსმანს თეთრი საღებავით წააშლევინა ეს სურათი და მის ადგილზე დახატვანა ყარაჩოხელთა ქეიფი და ცნობილი მედლოე — დიდი ბაგრატა თავისი დსკით (პირველი ზურნის დამკვერლის პეტა ჩაჩანიძითურთ) და თითოეულ პიროვნებას გვარი და სახელი მიაწერა. ესეც „თიღაში“ იყო მასინ.

სწორედ ამ ამბავს მოუყვა ფიროსმანი ვაჟა-ფშაველას, რომელსაც ძალიან ეწყინა ხელოვანის შრომისა და ნააზრევის ასე აბუჩად ავადება.

მაკონდება ძველი თბილისი თავისი შუშუბანდებით, ბაზრებით, კინტოებით, ყარაჩოხელებით, თულუხჩებით, ვიწრო ქუჩებითა და ბანიანი სახლებით. აი ფიროსმანის მიერ გაცემცლებული მასინდელი პეიზაჟები: „მუშა ტიკით“, „ბორანი“, „მეთევზე“, რომელიც ნიკალამ დახატა გასო ონიკაძის სახლის სარდაფში მოთავსებული სამიკიტ-

ნოს (ყოფილ მუხრანის ხიდთან) აბრაზე. „მზარეული“ (ეს ხომ ავლაბარში ცნობილ მიკიტან დანიელას მზარეულია, რომელსაც მთვრალი ნიკალა ბეგრეკერ ტანგაუხდელი დაუძინებია ბნელ სარდაფში, სადაც ნახშირს ინახავდა). „ხილის ღუქანი“ (ეს კი სირაჯხანაში ცნობილ ბაყალ „წყალობას“ ღუქანია, რომელიც მეღუქნე წყალობას თხოვითი დახატა).

ბეგრი სურათი მაკონებს მისი წარმოშობის ისტორიას, თუნდაც ფუნიაკულიორი, რომელიც დიდხანს იყო თბილისელთა გაკვირვებისა და კამათის ობიექტი. ქალღმრე დახატული ფუნიაკულიორი 1914 წელს ფიროსმანმა სახსიერად გადასცა ვაჟა-ფშაველას.

თბილისი, რიყე, ხეთაგუროვის ქუჩა (ყოფილი 19 თებერლი ქუჩა), რომელშიც მოთავსებული იყო „ვლადიკავის ნომრები“.





აი, ყველაათვის ცნობილი წვერებაპურძენული, თვეშის ტოლა მელაღრამედიკალი „დორნიკი“. ეს ხომ შირ-სოივის ქარავლის მეფეზე, იეხიდი რამიე აღმო-ვეეა.

ფიროსმანის „ცხვარი“, რომელზედაც გამოსახულია ყარაიხელი ყოიტი, მაგონებს მისი დახატვის ისტორიას. რიყეში, ახლანდელ კოსტა ხეთაგურთის ქუჩაზე № 63 სახლის სარდაფში, მოთავსებული იყო სამიციტონი „ბედნი ლადო“. მისი მფლობელი ლადო ელერდაშვილი, გათქ-მული იყო ღინიერი ყოიტი. ძველ თბილისში ყოიების ჭიდაობა ძალიან გავრცელებული იყო და ბევრი გულშე-მატყარიც ჰყავდა. ყოიების ჭიდაობა უმეტესად რიყეში, მტკვრის მარცხენა ნაპირას, მეთივე თუშმთილის სავაჭ-როს წინ არსებულ მოედანზე, მიმდინარებობდა. ლადოს ხშირად გამოჰყავდა თავისი ყოიი საჭიდაოდ. მას ჩვეუ-ლებად ჰქონდა — თუ მისი ყოიი დამარცხდებოდა, იგი იმ ყოიის ჰკლავდა და მაყურებელთაგან უფროსი თაობის ხალხს, ხშირად 40—60 კაცს თავის ხარჯზე აქეიფებდა საკუთარ სასაიდლოში.

ლადომ დაიბარა ფიროსმანი და სამიციტონში ჩასას-ვლელი კიბეების თავზე დახატვინა თავისი პორტრეტი ჯაჭვგამომხული ყოიით.

„ქეიფი ზურნით“ მაგონებს იმ სურათს, რომელიც ფი-როსმანს ორთაჭალაში საქეიფო ბაღის პატრონმა „როფუ-რაშვილმა“ დაახატვინა. სწორედ ამ სურათის გამო ფი-როსმანი კინლამ დააპატიმრეს.

ორთაჭალის საქეიფო ბაღში თბილისელი ჰამქრის უს-ტაბაშები ჰამქრის „საღეთს“ აწყობდნენ წელიწადში ერთხელ. ამ ქეიფს მთელი ჰამქარი (ხშირად 150-200 კაცი) ესწრებოდა. ქეიფის დაწყებამდე უსტაბაში ოსტა-ტად დლოცავდა ქარგლებს, და სპეციალურ „ატესტატს“ გააღაცემდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან „და-ლოცვილს“ უფლება ეძლეოდა დამოუკიდებლად ემუშავნა. ეს „ატესტატები“ აუცილებლად შუშვან ჩარჩოში უნდა მიეთავსებინათ და სახელისნოში თვალსაჩინო ადგილას ჩამოეყიდათ.

მიკიტანმა როფურაშვილმა იფიქრა უსტაბაშისა და მასთან ახლო მყოფ პირთათვის, გარდა „გულითადი სა-ჩქერებისა“, კიდევ რაღაც განსაკუთრებული პატივი ეცა, რათა მათ მომავალშიც მის ბაღში დამსჯრათ ჰამქარში

„საღმრთოსთვის“ შვერთვილი ფული, რომელიც 200-300 მანეთს აღემატებოდა.

როფურაშვილმა გადაწყვიტა ეს საპატივიცემული ხალხი დახატვინებინა საქეიფო აივნის კედელზე და ამით სამუ-დამოდ მოეგო მათი გული. სწორედ ამ მიზნით დაიბარა ფიროსმანი და სთხოვა მისი ჩანაფიქრის განხორციელება. ფიროსმანმა დახატა ღია ბაღში, წითელი ვაშლებით დატ-ვირთული მისმორიერ ხეების წინ, გამზოლი მაგიდა, რომელსაც უსტადან რამდენიმე ჩოხოსანი მოქეიფე, ხო-ლო იქვე მეზურნეების დასტა დიდი ბაგრატას მონა-წილებით. სურათს კი გაუკეთა წარწერა — „უსტაბაშის ქეიფობა“ და ზურნის დახატვის შემადგენლობის გავიქმი.

ერთი დეტალი: ფიროსმანმა მოქეიფეთა უკან, წითელი ვაშლებით სავსე ხეზე მიყუდებული ნახევრად გამზოლი ჰამქრის ბიარალი დახატა. ეს ბიარალი, როგორც წესი, ცისფერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნიკალამ იგი განვეც წითლად შეღება. წითელი ბიარალი მაშინ სასტიკად აკ-რძალული იყო. და ვისაც უპოვინდნენ, ციმბირში ასას-ლებდნენ, თუკი სახრიობობა გადარჩებოდა.

როფურაშვილმა ეს ვერ შეინშნა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთ-ერთმა მოსაიღიემ ყურადღება მიაქ-ცია, რომ ხეზე ჰამქრის ცისფერი დროშის ნაცვლად რეფო-ლუციონერთა წითელი დროშა დახატული. მას წამსვე უხშია მიკიტანი, გაულანძლავს იგი და დამოქრებია, რომ ამ ამბავს პოლიციას შეატყობინებდა. შემინებულ როფუ-რაშვილს საუკუნაოდან გამოუტანია დიდი დანა და მუშ-ტრის თვალწინ დამაღ ამოუფხვავია დროშა.

როფურაშვილმა იცოდა, რომ ნიკალას „ბირკა“ ჩვენს სახელისნო იყო, რომ იგი მაშინვე მოგობობდა და გვიამბო შეიშსენებული ამბავი. თან გთხოვა ფიროსმანი გაგვეზავნა მასთან აფხეცილი ნახატის შესასწორებლად.

მეორე დღეს ფიროსმანი მოვიდა და გუამბო ყველა-ფერი. ნიკალამ გაიღიმა და ხმამაღლა გეითხარა: რაო, ახლა კედელზეც არ უნდათ წითელი ბიარალი? მალე დადგება დრო, როდესაც ხალხი წითელი დროშებით თავისუფლად ივლის ქუჩაზე, ხოლო მეფის სამფეროვანი ბიარალი სა-მუდამოდ ამოიფხვავება ამ ქვეყანაზე. — შემდეგ აიღო საღებავებით ატვირებული ხელის ჩანთა და გაეპართა როფურაშვილის დუქნისაკენ.



თბილისი, პეტრო-პაველს სასაფლოს გვე-რდოი არსებული ქუჩა, 1918 წელს ამ და-საღებავებოლი იქნა ფიროსმანი.

უკანასკნელი მოწამეზერი

ელშერ გიორგაძე

მოდის ადამიანი ცხოვრებისეულ გზაზე და ნაკვალევს სტოვებს, გონებისეულად საზღვრავს ყოველ ნაბიჯს, მაგრამ რაც არ უნდა მკაფიო აზრობრივი ფორმულით იყოს იგი ნაკარნახევი, ბევრი რამ რჩება გაუთვალისწინებელი და აღსრულებული მოვლენა შემდგომ იღებს თავისთავად მნიშვნელობას და იწყებს დამოუკიდებელ არსებობას.

ეს ცხოვრების შესახებ.

რად უნდა ითქვას აბა შემოქმედისეულ გზაზე. ეს პროცესი ხომ თითქმის ქვეცნობიერია მთლიანად და თითოეული ამგვარი ფენომენის უამრავ ნიუანსს მხოლოდ დრო გამოაჩინებს.

ამიტომაცა აქვს ყოველ შემოქმედს ასეთი მბაფრი სურვილი მოხედოს თავის ნამოქმედარს.

თითოეული ახალი ნაწარმოების დაბადებისას მწერალს იპყრობს მფთოთი. ასე მაგალითად. ერთი გამოჩენილი პოეტი წერს: „ხელნაწერს ძალზე დიდ ხანს ვტოვებ სახლში, გაივლის ხანი და დავხედავ, ღირე-

ბულია იგი თუ არაო. თუ შეგჭოჭმანდი, კვლავ დავაბრუნებ თავის ალაგას, მერე ვნახავ, ასე გრძელდება კარგა ხანს და ბოლოს ჩავხვდები ხოლმე მის ავკარგინაობას“.

მწერალ ლეონიდ ანდრეევს ერთი ბელეტრისტი საყვედურობდა: „ვენახე თუ როგორი სასოებით ინახავდა იგი ყოველ პატარა საგაზეთო წერილსაც, მისი თითოეული ახალი ნაწარმოების შესახებო.“

მწერალს კი საგაზეთო ორნამენტები სულაც არ აინტერესებდა, იგი უბრალოდ აყურადებდა მცირეთა და დიდ კოლეკტა აზრს, რათა უკეთ საცნაურეყო საკუთარი შემონაქმედი.

ასე ხდება შემოქმედთა ყოველდღიურ ცხოვრებაში და რაოდენ დიდია ამიტომაც შემოქმედის სურვილი მოხედოს მთელ თავის განვლილ გზას.

დიდი რემბრანდტისადმი მიძღვნილი ერთი ძველი ფილმი მთავრდება ასე: სიკვდილის პირს მიმდგარი მხატვარი უკანასკნელ ფულს სთავაზობს იმ სახლის დარაჯს, სადაც მი-

სი ცნობილი ტილო ინახება. იგი თრთოლვით აცლის მტვერს სხვეწზე დაკიდულ სურათს.

„გასაგებია“ — აღმოთქვამს ძლივძლივობით.

— რა გაიგე, მოხუცო?“ — ეკითხება შეცუნებული დარაჯი.

— ის, რომ ამოდ არ მიცხოვრია ქვეყნად“.

ასე, ამ პლანშია გადაწყვეტილი ჭეშმარიტი მსახიობისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმი „სერგო ზაქარიაძე“ (რეჟისორი დ. ბათიაშვილი, სცენარის ავტორები ბ. ბოკერია და დ. ბათიაშვილი).

— ქართული კინო და ქართული თეატრი ყოველთვის სასიათდებოდა შესანიშნავი აქტიორული სკოლით, მრავალი კორიფე ჰყავდა, მაგრამ ძნელია დაასახელოს კაცმა მეორე ისეთი მსახიობი, რომელიც გარემოსილი იყო ხალხის ისეთი დიდი სიყვარულით, როგორც სერგო ზაქარიაძე — გვამცნობს რ. ჩხეიძე და შემდეგ უპიეროთმანეთს სცვლიან კოლეგები, ვისაც ყოველთვის ასეთ დიდ გულისყურს

მიაპყრობდა ხოლმე მსახიობი. მ. ულიანოვი: იგი იყო უდიდესი შინაგანი ძაბვის, შინაგანი წვის ადამიანი და ფაქტურად დიწვეა კიდევც... რეზონანსი... მან შეძლო ჩვენი თეატრის ორი ტენდენციის, გმირულ-რომანტიკული ტენდენციის და ყოფით-რეალისტური ტენდენციების შერწყმა. ეს ბრწყინვალედ შესძლო სერგო ზაქარიაძემ და ყოველივე ჩვენს თვალწინ მოხდა.

ს. გერასიმოვი—ეს იყო უდავოდ დიდი მსახიობი... აუნაზღაურებელი დანაკლისია. მ. სუცივი, მ. კოზინცევი, გერმანელი აქტიორი მ. ფლერხინგერი, ალექსიძე — ლაბარატონი კოლეგები, და თითქოსდა მათ საუბარს თან სდევს სერგო ზაქარიაძის შინაგანი არსება.

ზაქარიაძის მეორე „მე“, თან მიპყვება მთელ ფილმს. ლეიტმოტივად გასდევს სურათს ილიასეული „არაბი მთავარი მეგობარი, ჩემს უმჯობეს ყრბობას...“

რასაც ასე შთამბეჭდავად და მძაფრ გზნებით კითხულობდა სერგო ზაქარიაძე.

ფილმში არაფერია არაჩვეულებრივი, თვალში საცემი; აქ ვერ ნახავთ რეჟისორული ხერხების კასკადს, ოპერატორულ ტრიუკებს... არამედ უბრალოდ თავმოყრილია მსახიობის ნამუშევრები და ყველაფერი ეს დალაგებული და გადმოცემულია როგორც ადამიანის რეფლექსია, არა ფილოსოფიური, არამედ პოეტური რეფლექსია.

ასე, ამ პლანშია განლაგებული ნაწყვეტები სპექტაკლებიდან: „მეფე ლირი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „კიტჩრაქა“, „მეტქის ჩრდილი“, კადრი ფილმიდან „პალიასტომის ტაბა“, „დარიკო“, „ჯარისკაცის მამა“, „უკანასკნელი ჯვაროსნები“, „გიორგი სააკაძე“, და სხვა.

ფილმში ეფექტურადაა გამოყენებული ფოტო, სადაც სერგო საკაშევის მეუღლესთან ერთად, დაფიქრებული. კადრში ასახულია მარჯანიშვილის თეატრის ძველი გვარადა — უშანგი ჩხატაძე, შალვა დამაშვიძე, სხვანი და სხვანი და თავად მარჯანიშვილი.

...ეს იყო უცნაური სიზმარი: „გამომიგება ახალგაზრდობა“, მისდევს ძალზე ემოციური ტექსტი. საერთოდ ტექსტი საოცრად განწყობილებულადაა მისდაგებული კადრებს, ასე მაგალითად: კოლუ ნადირაძის ლექსისათვის „რად მაგონდება ასე უღმერთოდ შენი ოხებები ჩამოცეცული, რად მინდა მოვკავდ და შეგებოთ შენ ჩემი სისხლი, ჩემი სხეული“.

მინახულია ემოციურად შესატყვისი პეისაჟი.

პოლონეთის ძველი თეატრის ნანგრევების ჩვენებისას ისმის ნაწყვეტი „ემონტიდან“ სერგო ზაქარიაძის შესრულებით:

„ოი, ძველნი აღმართულნი ზეზიადულნი, ნუ შეჩერებთ ამდენ სულთა სწრაფას კეთილსას...“

ეს სიტყვები, ნაგრძობი და წარმოთქმული მსახიობის მიერ დიდის განცდით, საოცრად ესადაგება წარსულის ძველის დიად ნაშთებს.

შესანიშნავია კადრები ბერტოლდ ბრეტის საფლავთან, დიდი შემოქმედისადმი რაოდენი კრძალვა და რიდი ჩანს სერგო ზაქარიაძის ყოველ მიმობრაში და საერთოდ ძალიან თბილადაა გადმოცემული მსახიობის უცხოეთში საგასტროლოდ მოგზაურობა.

ფილმის ავტორებს ლამარა ბოკერიასა და დიმიტრი ბაიათაშვილს ერთი ზედმეტობაც კი არ დაუშვიათ. არსად იბღაბება ფილმის საზეიმო-ტრაგიკული ელფერი. კადრები შერჩეულია სწორედ ამ განწყობილებების

შესაფერისად, ასეთივეა მუსიკალური ფონი, კლასიკური ნაწარმოებებიდან შერჩეული ნაწყვეტები.

მთელი ფილმი გადაღებულია, როგორც დამაშვრალი მსახიობის უკანასკნელი მიწამზერი, მონამზერი ვრცელი სამოქმედო არენისა.

ეგ არის, ოღონდ, რომ ამ ფილმიც იჩინა თავი საერთო სენმა; სამწუხაროდ, ჩვენმა კინემატოგრაფიამ ვერ შემოგვინახა ქართული სცენის ისეთი გამოჩენილი ოსტატების სამსახიობო შედეგები, როგორც შექმნეს უშანი ჩხეიძემ, გიორგი შავგულიძემ და სხვებმა. ტელევიზიის ასეთი მომძლავრების დროსაც კი ძველი თაობის ერთ-ერთი უკანასკნელი მოპიკანის — სერგო ზაქარიაძის თეატრალური იერსახეები უაღრესად ღარიბადაა აღმეჭდილი ფირზე. ამ გარემოებამ ერთგვარი დადი დასაც ახალ დოკუმენტურ ფილმსაც.

ასე, მაგალითად, არსად ჩანს ა. კლიაშვილის პიესა „ქარიშხალი“ (რეჟისორი რეზო მირცხულავა) სერგო ზაქარიაძის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული ნებჰენის სახასიათო სახე.

მთავრდება სურათი, ვერანზე მოსჩანს ზაქარიაძის სოფელი, მისი სამოსახლო, ჭის პირი და თითქოს ისევ ჩაგვემის ფილმის ლეიტმოტივი, მსახიობის მიერ ჭეშმარიტი სითბოთი და სიღრმით გაცხადებული სიყვარული სამშობლოსა, ამა ქვეყნისა და მისთა მკვიდრთადმი:

„არაბი მთავარი მეგობარი ჩემს უმჯობეს ყრბობის, და აწ მამოჩემს თქვენგან ვალი ამ წუთისოფლის... მომავლის ბედი გაურას ითხოვს ჩემგან მსხვერპლად, და რას მომხოვდა უარესსა დასასჯელად, მშვიდობით, ჩემო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა...“

მ. თოიძე.
აივანზე.



ფუძვრდელის ოსტატი

ირინე აბესაძე

წმს ქართველმა ხალხმა დიდი წყევით აღნიშნა საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის მოსე თოიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე. ეს იყო დიდი დღესასწაული ქართული რეალისტური მხატვრობისა.

მოსე თოიძე დიდი მასშტაბის მხატვარია. პეტერბურგის სამხატვრო აკადემიამ, რეპინისა და პერედიკინიკების რეალისტურმა სკოლამ გარკვეული გავლენა იქონია მხატვრის ხალხს ნიჭზე, მისი შეღწერის ჩამოყალიბებაზე.

პეტერბურგიდან სამშობლოში და-

ბრუნებულ მხატვარი სათავეში ჩაუდგა ქართულ რეალისტურ მხატვრობას. 1922 წელს მან საფუძველი ჩაუყარა სახალხო სტუდიას.

მოსე თოიძემ იმთავითვე მიიქცია ყურადღება, როგორც ფუნჯის უბადლო ოსტატმა. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა მხატვრობის ტექნიკურ მხარეს, რასაც უნერგავდა თავის მოწაფეებსაც. „ყალბია აზრი, რომ გენიალური ნაწარმოებები ხალხისათვის გაუგებარია, პირიქით, დიდ ნაწარმოებში ნათლად და მარტივად დადავებს ტექნიკიკება, — ამბობდა მხატვარი, — ხოლო რამდენადაც იგი მომხიბვლელია, იმდენად მისი

ტექნიკური მხარე და ნაწარმოებია მიუზი ხდებიან ხანგრძლივი კვლევა-ძიების საგნად, ხელოვნება უკედევოფს კულტურული განვითარების უმაღლეს მომენტებს“.¹

მოსე თოიძე მიეკუთვნება იმ მხატვართა რიცხვს, რომლებიც მუდამ სრულყოფენ თავიანთ ხელოვნებას, ეძებენ ახალ გზებს, მათ არ სურთ, ერთხელ გაკავალული გზით სვლა.

მოსე თოიძე ერთი და იგივე სა-

¹ მ. თოიძის სიტყვები მოყვანილია შ. კვასხაძის სტატიიდან „სამხატვრო განათლების მესვეური“, გაზ. „თბილისი“, 17 იანვარი, 1972 წ.



მ. თომიძე.

მოხუცი ქუჩაში.

განს სხვადასხვა განათებით ხატავს. ანტერესებს, როგორ ეცემა სხივები საგანს და როგორ აირეკლავს იგი მათ, მივარისა თუ მზის სხვადასხვა მდებარეობის დროს. მხატვარს საგანთა ფორმები ამოჰყავს ფუნჯის სხვადასხვა მონასმით (ფართო თუ მოკლე), ლევის წესით თუ ცხოველხატული ლაქების საშუალებით, სხვადასხვა ფერთა კონტრასტული დაპირისპირებით და სხვა.

ფერწერული ხეჩხების ძიება ნათლად იგრძნობოდა მხატვრის ადრინდელ ნამუშევრებში, მათ შორის ყურადღებას იქცევს „შეხვედრა“, „ქუჩა ღამით“, „რუსთაველი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში“, „უფლისციხე“, „მივარიანი ღამე“, „მოხუცი ქუჩაში“, „აივანზე“ და სხვა. „შეხვედრა“ დიდი ფორმების კომპოზიციაა. მივარის შუქი ანათებს უსარმაზარი გალაგნის კუთხეში მიფარებულ მიჯნურთ. მეორე პლანზე, გალაგნის მიღმა, ქალიშვილის სასახლეა განათებული. კონტრასტულად დაპირისპირებული, მივარით განათებული არეები და შექრდილები საიდუმლო განწყობილებას ქმნიან. სურათი ფუნჯის ფართო მონასმებით არის დაწერილი, ალაგ-ალაგ კი ლესვის წესით. ამ კომპოზიციაში

მივარიანი ღამის ელვარება მეტად ინტენსიურადაა გადმოცემული. მართალია, მიჯნური წინა პლანზე არიან წამოწეულნი, მაგრამ კომპოზიციის მეორეხარისხოვან ელემენტებად აღიქმებიან. კომპოზიციაში უკრადლებს უფრო მივარის რეფლექსები იტაცებს. კომპოზიციის კუთხეში მოთავსებული ორი ფიგურა ფერთა გამოთ სხვა საგნებისგან არ გამოიყოფა. მათი სამოსის ფერი შთანთქმინტენსიურმა მივარის შუქმა, რომელსაც უპირისპირდება გალაგნის კედელში ჩატყლილი ნიშის ჩრდილი. მხატვარი მიჯნურთ ამ ჩრდილში იტაცებს, რითაც მათ შეხვედრას ეძლევა იდუმალი ხასიათი. ჩრდილის ხაზი კვეთს კედლის განათებულ სიბრტყეს, ამ შვე უბეს კი ალაგ-ალაგ ქალ-გაყის სამოსის თეთრი ნაწიურე არ აღწევს. კომპოზიციის სიღრმეში მოთავსებული სასახლის ვიწრო სარკმლებიდან გამომავალი სინათლე ცეცხლისფერი ლაქის სახითაა გადმოცემული. ეს არის ერთადერთი ნათელი, მკდერი აქცენტი კომპოზიციის მეორე პლანის მუქ ფერთა გამაში. კარგად არის გამოხატული შუქჩრდილთა თამაში სასახლის ვიწრო აღმართულ ხეხეც, რომელიც კომპოზიციის ცენტრთან შედარებით ნა-

კლებ განათებულია, კონტრასტს კარგი ბილებს ცხე-დარბაზის სარკმლიდან გამოხული შუქი. გალაგნის ყრუ კედელი, მაგრად დაკეტილი კარიბჭე, კიბის ქვის კვადრატები მშლავრი ფუოდლის შეუვალობაზე მიგვითითებენ. გალაგნის კედელზე დაცემული მივარის შუქი თვალს ჭრის. თეთრი ქვითკირი ჭარბად ირეკლავს სინათლის სხივებს, რაც ერთგვარ შემსარავ განწყობილებას ქმნის. შუქჩრდილთა რეფლექსების მონაცვლეობა, ფუნჯის მონასმის თვალდაჭერლად ხმარება, ფორმათა და ფერთა სისადავე კრავს კომპოზიციას.

შუქჩრდილთა მონაცვლეობით ყურადღებას იქცევს აგრეთვე პატარა ფორმატის ტილო „მივარიანი ღამე“. კომპოზიცია წარმოადგენს მივარის შუქით განათებულ თბილისს. შუქი ანათებს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე შეფენილ, ტრასებად განლაგებულ ძველი თბილისის აივანის სახლებს. უარს მიჩანს კვლესიაც. მდინარის მეორე ნაპირს კი, სადაც კომპოზიციის ცენტრია, სინათლე ნაკლებად აღწევს. ეს მხარე მეტნაკლებად ჩამუჭებულია. მაგრამ ყველაზე უკეთ სწორად აქ ჩანს ჩრდილისა და სინათლის ფენიჭტი. მივარის შუქი აქ თითქმის ძლივს აღწევს, მაგრამ სადაც არის, თეთრი ღია ლაქების სახით ელვარებს და საგანთა მოხაზულობას უსვამს ხაზს. საგნები გამოიკვეთება სინეზლიდან, შენობის სადარბაზოს კიბეებზე ქალის ორი ფიგურა მოჩანს. იქვე, ერთი საფეხურიდან დაბლა, კი შავებით მოსილი ქალი მოკალათებულია. ფონიდან მისი გამორჩევა ძნელდება, რადგან სინეზლეშია. მას ღონავ აშუქებს კიბეზე დატყეული სხივის ანარაკლი. მივარის შუქის პირდაპირი დაცემით ცენტრალური ფიგურები კონტრასტულად გამოიკვეთებიან. კომპოზიციის მარცხენა კუთხიდან გამომავალი მივარის შუქი გაფანტულად ეცემა სახლს, კიბის საფეხურს, მოაჯირს, ქალთა სამოსს. კომპოზიციაში სიღრმე და სიფრცვა შეტანილი. პირდაპირი პერპექტივა აქ კარგად ენახებება უკუპერპექტივას. კომპოზიციის ფერთა გამა შუქი ლურჯია, ალაგ-

ალაგ განათების ადგილებში აღმნიშ-
ვნელი ყვეთელი ლაქებით. ფუნჯის
მონასში რბილია და ტალღისებუ-
რი.

თუ მთვარის ციკლის სურათებში
მხატვარი ერთგვარ შუქრდილითა
კონტრასტულ დაპირისპირებას ძი-
ლევს, მზის სხივთა ჩრდილის გრდა-
ცია საინტერესოდ არის გადაწყვეტი-
ლი „უფლისციხეში“. მზის სხივები
აქ განათების ორ წყაროს ქმნიან
ერთი (სარკმლიდან შემოსული შუ-
ქი) უფლისციხის დარბაზის შიდა
ნაწილს ანათებს, ხოლო მეორე თვით
გამოქვამული და კარიდან იჭრება.
შუქის ეს ორი ნაკადი ერთდებდა და
ინტენსიურად ანათებს გამოქვამულს.
სწორედ კარიდან შემოსული შუქი
არის სინათლის ძირითადი წყარო,
რადგან მისი გავრცელების არე უფ-
რო ფართოა. კარებიდან სინათლე
ნელ-ნელა შემოდის ინტერიერში,
ზომიერად ნაწილდება მთავრე, გამო-
ქვამულის კედლებზე, სვეტებზე და
დარბაზის შორეულ კუთხეებშიც აღ-
წევს. შუქრდილის ნიუანსებით კარ-
გად ჩანს სინათლის ინტენსივობის

გ. თოძი.



მ. თოძი.



შხვედრა.

უფლისციხე.

თანდათანობით შესუსტება. მხა-
ტვარს ინტერიერში შემოაქვს სინა-
თლე. მას აინტერესებს, როგორ ირეკ-
ლავს გამოქვამულის ყავისფერი
სხვადასხვა მხრიდან დაცემულ მზის
სხივებს. აქ მკვეთრად არ უპირის-
პირდება ერთმანეთს ბნელი და ნა-
თელი ადგილები. ეს იმიტომ, რომ
სინათლე ჭარბად ვერ აღწევს ინტე-
რიერში. დარბაზის მთელი რიგი კუ-
თხეები ჩაბნელებული რჩება. სარკმ-
ლიდან შემოსული სინათლის გავრ-
